619
1991

ნოემბერი — დეკემბერი
№ 11 – 12 1991

ᲝᲠᲝᲜᲗᲐ

ISSN 0130—1624

ზაზა ფირალიშვილი.

შინაარსი:

2-3-4

სახელოვნებითი ერი

ახალი სახელები

4

ლალი ლალიაშვილი. ლექსები.

5

ბატონ მერაბ კოსტავას

ვარსკვლავი ზეცას მოსწყვეტია
და ზეცის თაღებთან მომდგარა,
გული შიშველ ნერვზე აუგია
და ჰოი, ვინა სთქვა მომკვდარა.

გული ხელის გულზე დაუდვია
და მთიდან ზვავით მომსკდარა,
მზის სხივი გულში გაუყრია,
ფრთაშავი სიკვდილი მომდგარა.

შუბლზე უკოცნია მიწისათვის,
ციდან ვარსკვლავივით მომწყდარა,
გულის, გულის სისხლი დაუღვრია
და ჰოი, მაინც არ მომკვდარა.

5

გივი ციცქიშვილი. დედა საქართველოს სტკივა (ლექსი).

6 თოთია გიგაური.

6-7

ჯემალ მეხრიშვილი. ძველი გზაჯვარედინი.

8-9-10

გოგდან კისტიაკოვსკი. სამართლის დასაცავად.

11

გოგი მაისურაძე. დახვრეტა (მოთხრობა).

12

გივი ღამგაშიძე, ალექსანდრე ჩხეიძე. „თანამედროვეობის გენიალური მხატვარი“.

13-14

მედეა შადური, ალექსანდრე კასრაძე. ფესვებგაცოცხლებული სოფელი.



15-16-17

ილია რურუა. ყაყაჩოს ველი (მოთხრობა).

18

ბრანა ცრნჩევიჩი. უკეთესი ცხოვრება.

18

უცხოური იუმორი.

19

მარგილი (კრიმინალური ქრონიკა).

№ 11-12 (657-658)
ნოემბერი — დეკემბერი
1991

დროშა

საქართველოს რესპუბლიკის
უზენაესი საბჭოს
ყოველთვიური საზოგადოებრივ-
პოლიტიკური და სალიტერატურო-
სამხატვრო ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
ჯანსულ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:

აკაკი ბაქრაძე, ზულნარა ბაბტაძე (პასუხისმგებელი მდივანი), ჭანნილ ბვეტაძე, თეიმურ ნინიძე, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ელდარ შენგელაია, ზურაბ ფერეთელი, თამაზ ჯილაძე, ნოდარ ჯაველიძე.

20-21-22

აგათა კრისტი. უბრალოდ, უბედური შემთხვევა. (მოთხრობა).

23

ლია ასათიანი. ლექსები.

24

კროსვორდი.

სახელმწიფოებრივი ერი

ზაზა ფირალიშვილი

არის ერთი კითხვა, რომელსაც დღეს, ცხადად თუ ფარულად ვატარებთ და რომელიც ათასგვარი ეჭვისა თუ იმედის წყაროდ ქცეულა: ვართ თუ არა ჩვენ სახელმწიფოებრივი ერი?

საკითხის ამგვარი დასმა ნიშნავს გათვალსაჩინოებას იმ გარემოებისა, რომ ესა თუ ის კონკრეტული ერი (და განსაკუთრებით ეს მცირე ერებს ეხებათ), შეიძლება არასახელმწიფოებრივი იყოს, ანუ მის ისტორიულ კოდში იმთავითვე იყოს ჩადებული ის გარემოება, რომ იგი სახელმწიფოებრიობას ვერ შექმნის, რეალურ ისტორიულ პროცესებში მონაწილეობის თვალსაზრისით იგი ხელოთუპყარია და ამის მიზეზია არა რაიმე გარეგანი ხელისშემშლელი პირობები, არამედ ნაკლულობა იმ ჯანსაღი ინტუიციისა თუ ინსტიქტებისა, რომელთა წყალობითაც „წარმატებული“ ხალხი ადექვატურად პასუხობს ისტორიის მოთხოვნებს.

შესაძლოა, ვინმეს ერეტიკულად მოეჩვენოს საკითხის ამგვარი დაყენება. ადვილი შესაძლებელია, ეს ეროვნული ნიჰილიზმის გამოვლენად ჩათვალონ. ამ დროს, ალბათ, იმდენად საღი აზრი და მტკივნეულ კითხვებზე პასუხების მოძიების სურვილი არ ილაპარაკებს, რამდენადაც ჩვენი ყბადაღებული თვითმკმარი და თვითკმაყოფილი ნარცისიზმი, რადგან სრულიად ცხადია, რომ ეროვნული ცნობიერების ყოველწამიერი თვითრეფლექსია, რაოდენ მწვავეც არ უნდა იყოს იგი, ისეთივე აუცილებელი პირობაა ისტორიული წარმატებისა, როგორც, ვთქვათ, სოციალურ ურთიერთობებში დამკვიდრებული ზნეობის მინიმუმი. ასეთი თვითრეფლექსიის სისუსტე ან მისი მითოლოგიზებულ ბუფონადად გადაქცევა ძალზე სერიოზული სენის ნიშანია. როგორი მძიმეც არ უნდა იყოს საკუთარი თავის შეცნობის გზა, როგორ მოუხელთებელ და ირაციონალურ მრავალსახეობადაც არ უნდა წარმოგვიდგეს საკუთარი თავი, ეს საქმე, საბოლოო ჯამში, მაინც ეროვნული პოტენციების გახსნისა და მათი ისტორიული მთვლემარებიდან თავდახსნას ემსახურება. ამას კი ეწინააღმდეგება არაცნობიერი შიში ანალიზისა, თითქოს ამ უკანასკნელს საკრალური ღირებულებების ხელყოფა და ისტორიული ძალების პარალიზება ჰქონდეს მიზნად. არადა, იმაზე ცხადი რა უნდა იყოს, რომ გასულმა საუკუნეებმა დაარღვნა ჩვენი სახელმწიფოებრივი ინსტიქტები. ჩვენ ახლა ხელახლა გვაქვს საკუთარი თავი მოსაპოვებელი, თანაც მოსაპოვებელი გვაქვს როგორც უნიკალურ სიტუაციებში მოხვედრილ უნიკალურ არსებებს. პირველსახეებისა და პირველნიმუშების სახით მზამზარეული პასუხების ძიების ყოველგვარი ცდა მხოლოდ ილუზიას თუ შეგვიქმნის იმისას, რომ ყოველივე კარგად არის ან იქნება.

პრობლემათა სიმწვავემ და მოუმწიფებლობამ იოლი გამოსავლის ძიებისაკენ გვიბიძგა და ჩვენც მზამზარეული პასუხების ძებნა დავიწყეთ — ან საკუთარ წარსულში, ან სხვების გამოცდილებაში. პირველზე, სამწუხაროდ, ძალზე ცოტა ვიცით და მას იოლად ვაქცევთ მითოლოგიზებული ბუფონადის აუცილებელ ასპექტად, მეორის შესწავლისათვის კი ჯერაც არ მოგვიკიდია ხელი. ასეთი იოლი „გამოსავლები“ კი კიდევ უფრო გააძნელებენ ჩვენი ეროვნული პოტენციების გათავისუფლების საქმეს. არსებობს ილუზია თითქოს ძალზე კარგად ვუწყოდეთ, თუ ვინ ვართ და რა ადგილი გვიკავია სამყაროში და ვივიწყებთ, რომ ისტორიაში სვლა, გარკვეული აზრით, სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი თავის, როგორც გამოცანის, ამოცნობის პროცესი. ერი, რომელმაც „ყველაფერი ძალზე კარგად უწყის“, არ შეიძლება პროგრესირებადი ერი იყოს. „ისტორიაში ყოფნა“, სხვა ყველაფერთან ერთად, ნიშნავს სწორედ გამოუცნობის ამოცნობის ცდას, ქაოსის კოსმოსად ქცევას, ირაციონალურის რაციონალიზებას ნიშნავს — ცხადია, რაციონალიზება არ ნიშნავს იდუმალის რაციონალურ ენაზე თარგმნას. რაციონალიზების ცნება აქ უფრო გაგების მნიშვნელობით არის ნახმარი.

ამდენად, ჩვენი ისტორიული ბედის რაობა საძიებელია არა იმდენად კონკრეტულ ისტორიულ ვითარებებში, არამედ იმ წესში, რომლის მიხედვითაც კონკრეტულ ისტორიულ ამოცანებს ვწყვეტთ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პასუხები საძიებელია არა „რა“-ში, არამედ „როგორ“-ში, ანუ იმაში, რასაც ეროვნული სულის ცხოველმყოფელობის წესი, ერის მეტაფიზიკური ცნობიერება შეიძლება ვუწოდოთ. სწორედ ის ქმნის ჩვენს დღევანდელ პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ კულტურულ რაობას და მანვე უნდა გაგვცეს პასუხი, ვართ თუ არა სახელმწიფოებრივი ერი ან რა უნდა მოვიპოვოთ ჩვენში ისეთი, რომ სახელმწიფოებრივი გვერქვას. ეს სრულიადაც არ ნიშნავს ისტორიული ამოცანების გადაწყვეტის გადადებას, როგორც ეს ხშირად ესმით ხოლმე. ასეთი გაგება ზედმეტად გაამარტივებდა პრობლემას. კონკრეტული ისტორიული ამოცანების გადაწყვეტა და წარმატება ისედაც გადადებული იქნება, თუ ჩვენ არ მოვიპოვეთ ის „როგორი“, რომელმაც „ისტორიაში უნდა დაგვაბრუნოს“, თუ არ მივიღეთ ყოვლისმომცველი და ყოვლისგანმსაზღვრელი გადაწყვეტილება „ისტორიაში დაბრუნების“ შესახებ, რის გარეშეც ყოველი განცხადება, სახელმწიფოებრივი ერი ვართო, ფუჭი იქნება. საქმე ეხება იმას, შევძლებთ თუ არა ამგვარი ყოვლისმომცველი არჩევანის გაკეთებას და თანაც აქ და ახლა, ჩვენი არსებობის აწმყო-ტოტალობაში, შევძლებთ თუ არა, რომ სახელმწიფოებრივ ერად ყოფნა იმ ზეამოცანად ვაქციოთ, ჩვენი ცხოვრების წესს რომ განსაზღვრავს.

ის, თუ როგორ ეძებს პასუხს კითხვაზე — რას წარმოვადგენ მე და რა ადგილი მიკავია სამყაროში, წარმოადგენს იმ ფუნდამენტურ გარემოებას, ყოველი მცირე თუ დიდი ხალხის ისტორიულ რაობას რომ ქმნის. როგორი ტრადიციონალისტური და თვითრეფლექსიას მოკლებულიც არ უნდა იყოს ხალხის ცხოვრება, თავისთავად მაინც იგულისხმება ეს კითხვაცა და პასუხების

ეროვნული ბიბლიოთეკა

19 ივ 1991

უსასრულო ვარიაციებიც. გადამწყვეტი სწორედ ის არის, თუ როგორ ვსვამ კითხვას და რა პასუხებს ველი — ველი მათ იმგვარ წარმოდგენებში, შემაჭირვებელი აწმყოსაგან რომ მიხსნიან და ჩემს ყოფას ლამაზ ზღაპრად აქცევენ, თუ სრული გააზრებით იმისა, რომ, სხვა მრავალთა მსგავსად, სამყაროში ვართ გადაგდებულნი და ილუზიები კიდევ უფრო გააძლიერებენ უმწეობას, რადგან იმ აუცილებელ ისტორიულ სიფხიზლეს მოგვიდუნებენ ჩვენს დღევანდელობას რომ ესაჭიროება. პირველი გზა სიბერისა და ძალების დაშრეტის ნიშანია. სიბერეს ხომ გარანტირებული ფუნდამენტი სურს ლამაზი მოგონებებისა და განაღდებული მდგომარეობის სახით. მეორე გზა კი იმის გზაა, ვისაც ძალა ჰყოფნის, აღიაროს, რომ არაფერია „ცხადი" და „ნაღდი", რომ ისტორიულ-მითოლოგიურ წარმოდგენებში საყრდენის ძებნა და იქედან მზამზარეული პასუხების გადმოტანის ყოველგვარი მცდელობა სხვა არაფერია, თუ არა თავის გაბითურება. ფიხტეს ერთ გამოთქმას თუ მოვიშველიებთ, ჩვენ იმთავითვე არაფერი ვართ; ის, რაც ჩვენ ვართ, უნდა გავხდეთ.

იმთავითვე მიღწეული იდეალის ცრურწმენა იმ ფუნდამენტურ გარემოებათაგანია, რომელიც ხელს გვიშლის, ისტორიაში დავმკვიდრდეთ, რადგან ეს უკანასკნელი სხვა არაფერია (ნიკოლაი ბერდიაევი, მირჩა ელიადე) თუ არა იდეალთა ხორცშესხმისათვის მზადყოფნა. ჩვენი ეროვნული ცნობიერება დღეს შემდეგ პარამეტრებშია მოქცეული: წარსული, აწმყო წარსულისა და მომავალი წარსულისა. და ამით თითქოს და წრეში ვართ ჩაკეტილნი. ჩვენი ეროვნულობის საუკეთესო გამოვლინება წარსულში დაგვიგულებია (და არც არის გასაკვირი, თუკი არსებობა-არარსებობის ზღვარზე მყოფნი ვაიდეალებთ მას), ეს თავისთავად სწორიც არის, მაგრამ ამ იდეალური ხატების აბსოლუტურ ღირებულებად გადაქცევა მას მითიური ციკლის პრინციპად აქცევს. ეს ციკლი ასეთი პარადოქსალური, მაგრამ ჩვენში მეტად გავრცელებული ფორმულით შეიძლება გამოიხატოს: უკან წარსულისაკენ. ეს კი ასუსტებს ცხოველმყოფელ განცდას იმისა, რომ იდეალი არ შეიძლება იქ იძებნებოდეს, რაც უკვე იყო ან რაც არის, რომ არ შეიძლება ჯერარსსა და არსს შორის ტოლობის ნიშნის დასმა (ბოლშევიკებმა ხომ სწორედ ის შეცდომა დაუშვეს, რომ ჯერარსის არსად ქცევა მოინდომეს), იდეალი **უნდა იყოს** და ჩვენც მისკენ უნდა ვიდოდეთ, თანაც ამ სვლისას გამუდმებით უნდა გვახსოვდეს, რომ კონკრეტული სიტუაცია, აწმყოს ყოველი გაელვება უნიკალურია და კი არ უნდა გავექცეთ ამ უნიკალურობას, წარსულის *შინაარსებითა და ეთნო-მითოლოგიური ილუზიებით კი* არ უნდა შევცვალოთ იგი, არამედ იმ საფეხურად უნდა ვაქციოთ, რომლიდანაც მომავლისაკენ გადავდგამთ ნაბიჯს. სწორედ ამას ჰქვია ისტორიაში ყოფნა, ამან აქცია დასავლეთის ხალხებში მომავალი ყოვლისგანმსაზღვრელ იმპერატივად, რამაც ისინი პროგრესირებად ისტორიულ პერსონებად ჩამოაყალიბა — ვისაც ესმის, რომ ის, რაც იყო ან რაც არის, არ შეიძლება აბსოლუტურად საუკეთესო იყოს.

ისტორიაში ყოფნის ცნობიერების საფუძველი დღესაც — ცხადად თუ ფარულად — არის პირველყოფილი ცოდვის ის განცდა, რომელსაც ქრისტიანობა ადამიანებსა და ხალხებში ზრდიდა საუკუნეების განმავლობაში. ამ აზრით, პროგრესი, ქრისტიანობის სოციალიზებაში რომ გამოიხატა (დემოკრატია, სოციალური სამართლიანობა, საყოველთაო განათლება, პიროვნების უფლებები) სხვა არაფერია, თუ არა პირველყოფილი ცოდვის გამოსყიდვის გზა. ეს მოტივი უფრო მძლავრია, ვიდრე შეიძლება გვეგონოს, თუმცა დღესდღეობით უმეტესად არარაციონალიზებულად მოქმედებს. იგი იქცა იმ მძლავრ მეტაფიზიკურ იმპულსად, დასავლეთის ხალხების ცხოვრების წესი რომ განსაზღვრა. იგივე იქცა ზნეობრივი იმპერატივების მძლავრ წყაროდ, შემოქმედებითი პოტენციების გახსნის საფუძვლად. აქ განსაკუთრებით ზნეობაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. დღეს ხომ ყველაზე მეტად ეს კონკრეტული სადარდებელი გვაწუხებს: ზნეობის დეგრადაცია, იმ რწმენისა თუ კონსტიტუციური მომენტის დაკარგვა, რომ ყოველი ზნეობრივი სიტუაცია უნიკალურია და ამით უკვე სრული პასუხისმგებლობა გვეკისრება, პასუხისმგებლობა იმის წინაშე, რაც ხვალ იქნება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენ თვითვე ვქმნით იმ სამყაროს, რომელშიც ვცხოვრობთ და სწორედ ჩვენი დღევანდელი ზნეობრივი რაობით განვსაზღვრავთ მის სახეს. ეს კანონი ულმობელია და მას ვერც ისტორიულ მისიაზე ფანტაზირებით გავექცევით, ვერც წარსულის დამსახურებების გახსენებით. ხვალ ჩვენ ვიქნებით ის, რასაც დღეს შევქმნით საკუთარი თავისაგან.

არსებობს ასეთი სოციალ-ფსიქოლოგიური ფენომენი: კულტურული შოკი. მას ორადი თვალსაზრისით იგებენ ხოლმე: შოკი აწმყოსა და შოკი მომავლის გამო. ეს ფენომენი ძალზე ზუსტად აღწერს ჩვენს დღევანდელ მდგომარეობას, მდგომარეობას ერისა, რომელიც ისტორიული მთვლემარებიდან გამოფხიზლდა და **საკუთარი** აწმყოსა და მომავლის წინაშე წარსდგა, რაც მთავარია, ყოველივე ამის გამო შედეგად აღსდგა უკვე საკმაოდ გადაგვარებული **პასუხისმგებლობაც.** თუკი მონობის განმავლობაში კომპენსაციად ქცეულ წარსულს შევაფარეთ თავი და ამით გადავარჩინეთ თვითცნობიერება, ახლა ჩვენს წინაშე მთელი შიშისმომგვრელი სიცხადით დადგა აწმყო, როგორც ჩვენი ყოფნის ჭეშმარიტი ადგილი. იოლი შესამჩნევია, რომ ამას მოჰყვა შოკი აწმყოს გამო, რაც მისგან (რაც იგივეა, პასუხისმგებლობიდან) გაქცევაში გამოიხატა, ანუ ყოფნის ჭეშმარიტი ადგილიდან გამოგონილ ადგილზე გადანაცვლების ცდაში, არააწმყოსეული კატეგორიების მოშველიებაში („ყველაფერი 1801 წლის საქართველოდან უნდა დავიწყოთ..." და სხვანი). გაქცევის მთავარი მოტივი უმძიმესი და ურთულესი პასუხისმგებლობაა: ის, რაც ახლა არის, ხომ არასოდეს ყოფილა ხვალეს სუბიექტებიც, ამის გამო, ჩვენ ვართ. ჩვენზეა ხვალინდელი დღის შექმნის მთელი სიმძიმე და მას ვქმნით აქ და ახლა. წარსულს ისედაც ვერსად გავექცევით. იგი ჩვენია და იგი თავად ჩვენ ვართ. მაგრამ, ამასთან, არის რაღაც ისეთიც, *თანაც თავისი მნიშვნელობით ძალზე დიდი, რაც არასოდეს ყოფილა* და ახლა არის. სწორედ მასში იყრიან თავს წარსულიცა და მომავალიც. ჩვენ ან მივიღებთ მას, ან კვლავ ისტორიის სტიქიური ძალების ტყვეობაში დავრჩებით.

„ისტორიაში არმყოფი" ხალხისათვის დამახასიათებელია პოლიტიკური რადიკალიზმი. ყოველგვარი დაბადება ხომ კონვულსიურია და მათ შორის ისტორიაში „დაბადებაც", რასაც, როგორც წესი, საკუთარი ხელთუპყარობის შეგრძნება ახლავს თან. „საქმე" უკანა პლანზე გადადის. წინა პლანს იკავებს იდეისა და სიმბოლოს მაგიზმი, იდეათა შეჯახების რომანტიკა, ყოველგვარი წინაალმდეგობისა თუ პრობლემის მეტაფიზიკურ პლანში გადაწყვეტის ერთგვარი აპოკალიფსური მოლოდინი. ეს არის მდგომარეობა ხოგაის მინდიასი, რომელიც სულით არის აღსავსე და ვერა და ვერ შეგუებია მიწას, ვერ მოუპოვებია მდგომარეობა, რომელსაც, აგიოგრაფიული ტრადიციის ანალოგიურად, ზეცის კაცისა და მიწის ანგელოზის მდგომარეობა შეიძლება ვუწოდოთ. არსებითად, პოლიტიკური რადიკალიზმის გარეშე „ისტორიაში არმყოფ" ერს არ ძალუძს ქმედება, რადგან,

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთის მხრივ, ეს არის მისი დაბადების მომენტი, რაც თავისთავად გულისხმობს ტკივილისა და სიხარულის ნაზავს, ხოლო მეორეს მხრივ, ეს არის მოჭარბებული ენერგიიდან გათავისუფლების ყველაზე უშუალო და ყველასათვის იოლად მისაღწევი გზა.

პოლიტიკური რადიკალიზმი ამ დროს სრულიადაც არ ნიშნავს რეალურ პოლიტიკურ იდეათა ბრძოლას. თავად იდეის შინაარსი ამ დროს ნაკლებმნიშვნელოვანია. წინა პლანზე გადმოდიან პიროვნებები, რომლებიც, როგორც მარტინ ჰაიდეგერი წინასწარმეტყველებდა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის პოლიტიკური ცხოვრების გამო, მეტაფიზიკურ კომპეტენციას კისრულობენ და წყვდიადიდან თავის დაღწევის „ერთადერთ" გზებს სახავენ. ისინი პოლიტიკური მითოსის პერსონაჟები უფრო არიან, ვიდრე რეალური პოლიტიკისა, თავადაც ხელს უწყობენ თავიანთი პერსონების მითოლოგიზებას. ქართული ინდივიდუალიზმი აქ არაფერ შუაშია, რადგან ეს მოვლენები ტიპიურია ისტორიაში „დამკვიდრების" მოსურნე ხალხებისათვის. ამგვარი პოლიტიკური მითოსის გაჩენა მით უფრო მართლზომიერია, რაც მეტად განიცდის ესა თუ ის ხალხი აწმყოს გამო შოკს და რაც მეტი გულმოდგინებით ცდილობს პასუხისმგებლობის გადასაცემად რაიმეზე ინსტანცია გამოძებნოს. საკუთარი თავისაგან გაქცევის ყოველგვარი ცდა კი არ შეიძლება, დრამატული არ იყოს და თავად ისტორიაში დამკვიდრებას არ უშლიდეს ხელს.

არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ, რაც, უნდა გავითვალისწინოთ: ისტორიულმა ბედმა ამოგვაგდო ევროპული განვითარების ორბიტიდან და, ამდენად, ევროპული ხალხების ის ისტორიული მეთოდი, რომელიც მათ საუკუნეების განმავლობაში გამოიმუშავეს და ცხოველმყოფელ ძალად აქციეს, ჩვენთვის იმანენტური არ არის — არ არის ჩვენი საკუთრივი.

აქ სრულიად მართლზომიერია კითხვა, რომელიც უპასუხოდ დარჩენისათვის არის განწირული: უნდა იშვას კი ჩვენში იგივე, რაც ევროპაში იშვა და ჯერაც განაგრძობს გათვალსაჩინოებას, თუ ჩვენში ისტორიულად აღზრდილი და ჯერჯერობით შეუმჩნეველი სულიერი პარამეტრები ეთნიკური ძალების რეალიზების საკუთრივ განზომილებებს დაბადებენ? პასუხი მომავალმა უნდა მოგვცეს და ნაკლებად უნდა მივეცეთ ცთუნებას, ეთნო-მითოლოგიური ფანტაზიებით შევცვალოთ იგი. უკანასკნელი ხომ მომავალში „შეჭვრეტისა" და თავის დამშვიდების იმგვარი ცდაა, უზრუნველყოფილი მომავლის გარანტირებით ძალების პარალიზებას რომ ახდენს. მომავალში ხომ მხოლოდ იმას თუ დავიგულვებთ, რაც **უნდა იყოს** და არა იმას, რაც, გარკვეული ანგარიშით, გარდუვალად იქნება. აქ, ალბათ, მხოლოდ ერთი რამ არის ცხადი: თუ არ მოვიპოვებთ ეროვნული ძალების განხორციელების ასპარეზს, თუ ამ საქმეს სულის დაუცხრომელ ძალისხმევას არ მივუძღვნით, ისტორიაში ვერ დავბრუნდებით. სახელმწიფოებრიობა მხოლოდ ამ „დაბრუნების" თანამდევი მოვლენაა.

ყოველივე ნათქვამი რომ შევაჯამოთ, შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი უმთავრესი, რაც ახლა გვესაჭიროება, არის ეროვნული ცხოვრების **უნიკალური კონცეფცია.** მასში, ცხადია, თავის ადგილს წარსულიც ჰპოვებს და დასავლური რეალიებიც, მაგრამ ადგილს ჰპოვებენ არა როგორც პირველნიმუშნი და იდეალური სახეები, არამედ როგორც უნიკალური კონცეფციის დაბადების თანამონაწილენი, როგორც ეროვნული გონის ცხოველმყოფელობის მასალანი. ჩვენ ახლა გვესაჭიროება ეროვნული ცხოვრების ის უნიკალური სახე, „აწმყო-მომავლის" განცდაზე რომ იქნება აგებული.

ახალი სახელები

აქვს ერთი შესანიშნავი სიმღერა რევაზ ლალიძეს, იოსებ ნონეშვილის ლექსზე დაწერილი. სიმღერას ნანი ბრეგვაძე მღერის. „ლალი და ალმასი" აქვს მინამღერი. დიახ, ლალი და ალმასი, რომელიც ასე უხდება ქართულ ვაზს, ქართულ ღვინოს, ქართულ ლექსს, ალბათ ფერისა და მჭვირვალობის გამო, მშვენიერებისა გამო.

ლალი ლალიაშვილი კარდენახელი გოგონაა. აგერ სამი წელია, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე, მშვენიერი ლექსებით დახუნძლული მოდის ჩემთან და მაკითხებს საოცრად გულუბრყვილო, მაგრამ ცეცხლით ანთებულ სტრიქონებს.

ჯერ ადრეა, თუმცა მწამს, რომ ლალის შემოქმედება უფრო დაიხვეწება. ახლა კი, რითაც მკითხველი მოიხიბლება, ეს გახლავთ დამწყები პოეტის უბრალოება და პირველყოფილი მშვენიერება.

ღმერთმა ხელი მოუმართოს უმაწვილ ქალს, რომელმაც წელს შეაღო ინსტიტუტის კარი.

„ბებერი მთვარე დაჰყურებს ვენახს,
ალაზნის პირას ვარსკვლავი ჰყვავის!"

საქართველოს ცას შეჰმატებოდეს ის ვარსკვლავი, რომელიც დღეს ალაზნის პირას ჰყვავის.

ჯანსულ ჩარკვიანი
1990. წ. 24. XI.

ლალი ლალიაშვილი

ნუ შემიბრალებთ

მე ვაჟას ტყეში ის დაჭრილი
ირმის ნუკრი ვარ,
სუყველა რომ მტრობს და არავის
არ ვებრალები,
ნუ შემიბრალებთ, ეს დღე
ჩემი ცეცხლით ინთება,
ტყეს ანათებენ ცრემლით სავსე
შავი თვალები.

მერე მომკალით, ხომ იცით რომ
ვერ გაგექცევით,
მე ცხრა მთას იქით დამეწევა
ნადირთა ტყვია,
ჩემი თვალები ქვის გულებში
ჩაიმახსოვრეთ,
არ დაგავიწყდეთ, მე პატარა
შვლის ნუკრი მქვია.

* * *

დღეს ის ბატონობს
ყველა ჯურის კაცსა და გვარ-ტომს,
მაგრამ ყველაფერს,
ისტორიის სხივი ანათებს,
ხვალ მოვა სხვა და
დღევანდელ ბატონს,
როგორც საკუთარ მონას,
ისე გაასამართლებს.

* * *

ვარსკვლავს სურდა რომ მნათობი
წყლიდან ამოეყვანა,
ტალღა ტალღას ეჯახება,
არეულა ქვეყანა,
მთვარე წყალში ჩავარდნილა,
დარდი შემომეყარა,
შენი გრძელი ნაწნავები
ალაზნებად ეყარა.
დურაჯმა ცას შეუყივლა —
ვარსკვლავების ქვეყანას,
შენი თეთრი კაბის კალთა
ვარსკვლავს გადაეფარა,
მთვარე წყალში ჩავარდნილა,
დარდი შემომეყარა,
შენი გრძელი ნაწნავები
ალაზნებად ეყარა.

მოხუცი

ჩამდგარა თვალში საღამო ბნელი
და უფსკრულიდან გიცქერი თითქოს,
შვილო, დამიჭკნა ორივე ხელი,
და ახლა ცისკენ წასვლაზე ვფიქრობ.

ჩამოიმარცვლა დათვლილი წლები
და გამიხუნა მზის სხივმა სახე,
როგორც ვარსკვლავი მე დავიწვები,
სანამ მივქრები, მანამდე მნახე.

* * *

ბატონ მერაბ კოსტავას

ვარსკვლავი ზეცას მოსწყვეტია
და ზეცის თაღებთან მომდგარა,
გული შიშველ ნერვზე აუგია
და ჰოი, ვინა სთქვა მომკვდარა.

გული ხელის გულზე დაუდვია
და მთიდან ზვავივით მომსკდარა,
მზის სხივი გულში გაუყრია,
ფრთაშავი სიკვდილი მომდგარა.

შუბლზე უკოცნია მიწისათვის,
ციდან ვარსკვლავივით მომწყდარა,
გულის, გულის სისხლი დაუღვრია
და ჰოი, მაინც არ მომკვდარა.

ქართული ცეკვა

ქართული კაბა მოქარგული
მთვარის სხივებით
და ვერცხლის ქამრად შემორტყმული
ლივლივა მტკვარი,
გამწკრივებული თეთრ კაბაზე
ნამის ლილები
და ამ ცის იქით, მზე ცისფერი,
ამომავალი.
მტკვრის ტალღასავით მოქნეული
ლერწამის წელი,
გიმზერ ისე, ვით ფოთოლცვენას
ან სულის შეკვრას,
ო, გიშრისთვლიან ბეჭედშია
ჩაღვრილი ღამე
და მზე ცისფერი, ქალის ტანით
სცენაზე ცეკვავს.

გივი ციცქიშვილი

დედა საქართველოს სტკივა!

გულდამძიმებული დავდივარ,
თან მწარე ფიქრები დამაქვს...
მოძმის სიყვარულის მაგივრად,
თქვი, რატომ ატარებ დანას?

სად გაქრა ის შენი ბავშვობა,
ერთად რომ მხვდებოდით გუშინ?
რა უცებ, რა ცივად გაგშორდა,
რა ბოღმა ჩაგიგდო გულში!

ძმისთვის ჩაცემული ხანჯალი,
ულმობლად დახლილი ტყვია —
დედა საქართველოს სტანჯავს და
დედა საქართველოს სტკივა!

სიცოცხლე, რაც ომში გადარჩა,
შემუსრა ღვარძლმა და შურმა...
იცოდე, მაგ წყეულ დამბაჩას
მოაქვს წუხილი და ურვა!

ეს წუთისოფელი ხანმოკლე
ისედაც ილევა, ბიჭო!
შენ კი რა გულცივი გამოდექ,
სიყვარულს მტრობა რომ გიჯობს?

ძმისთვის ჩაცემული ხანჯალი,
ულმობლად დახლილი ტყვია —
დედა საქართველოს სტანჯავს და
დედა საქართველოს სტკივა!

თოთია გიგაური

ღალატი

დღეს ყველას მოაქვს ვაჟკაცად თავი,
ქუდი ახურავს თუ არ ახურავს.
მე ჩუმად მახრჩობს ცხოვრება ავი,
რომ ვერ მომირგო კარის მსახურად.

ჩუმად მზვერავენ თვალები დუშმნის
და გამარჯვებას ჩუმად მღერიან.
რამდენჯერ გთხოვე, ნუ მესვრი
ზურგში,
გულში სროლა კი არაფერია!

და აჰა, გული, როგორც ნიშანი,
ნულარ იხმარებ ფანდებს გაცვეთილს,
ზურგში ნასროლი ყველა ისარი
არ აცდენია ჯერ გულს არც ერთი.

პოეტი

ისევ დუმილი და ეშაფოტი,
არც რა ჩაყოლა, არც შერიგება.
სადღაც სუყველა მიდის და მოდის,
პოეტი ბოლოს მარტოკა რჩება.

დაგებულია ათასი მახე,
ჯოჯოხეთური ქარები ქრიან.
არვინ დაბრუნდა წასული, აქეთ,
და თუ დაბრუნდა, ძალიან გვიან.

ვიწრო ბილიკი და ბეწვის ხიდი,
ცივი დუმილი სამარის ჯვრებად.
როდესაც ყველა სახლისკენ მიდის,
პოეტი მუდამ უსახლოდ რჩება.

* * *

მიმზერს საწუთრო ძაღლი,
ეს დღეც უჩუმრად გადის.
მე შენი მზერა დამღლის,
მზერა კი არა, დარდი.
ღამე ჩამოწვა კვლავაც
ფერმიხდილი და სუსტი.
ხან ოცნებაში წავალ,
ხან თურმე სიკვდილს ვუცდი.
როდემდის გასტანს ამგვარ
მკვდარი დღეების რიგი?
ჩამქრალი არის ლამფა,
დახურულია წიგნი.
იქნებ არ ელის არც რას
ხვალინდელი დღის შუქი?
ღამეს ვნებისგან დამცხრალს
აღარაფერი უკვირს.
ბედს უკავივარ ხელში,
ვით ქარს ნაფლეთი ნისლის,
და რომელიმე ხევში
ალბათ ლოდივით მისვრის.
შენ კი შორსა ხარ, ისევ,
აქით შორს არის ყველა.
ველარაფერი მიშველს,
თუმც კარგი იყო შველა.

ეკონომიკური ფანტაზიები

ოქტომბერი მიიწურა. აი, სადაცაა ნოემბერი დადგება, დედოფლისწყაროს რაიონის ქვემო ქედის კოლმეურნეობის ვენახებში კი ისევ ხალხი ტრიალებს — ჯერაც არ დაუბინავებიათ წლის მოსავალი. რა დასამალია, სოფელს ერთობ გაუჭიანურდა რთველი. ამას ორი მიზეზი აქვს: კოლმეურნეობის თავკაცობის მძიმე ტვირთმა მის თავმჯდომარეს ზაურ ხუცურაულსაც შეურყია ჯანმრთელობა და დროებით დედაქალაქის საავადმყოფოში დააწვინა. ყველა მიხვდება, რომ ეს გარემოება უარყოფითად იმოქმედებდა კოლმეურნეობაზე. მეორე მიზეზი უფრო რთული და ღრმა არის. რესპუბლიკაში გამეფებულმა მწვავე პოლიტიკურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ სოფელს შრომის ჟინი და ხალისი გაუნელა.

— რაღა დროს აქამდე რთველი იყო, — ჩივის ასლან ბეროშვილი, რომელიც ოცდაათი წელია, რაც მევენახეობის ბრიგადირად მუშაობს, — მაგრამ ხალხს გულდამშვიდებული შრომის პირობები აღარ კი აქვს და!

— ან საიდანღა უნდა გვქონდეს, როცა საქართველოში ძმათამკვლელი ბრძოლებია გახურებული, — მოუჭრა № 12 ბრიგადის ბრიგადირმა მზია ბოკვერაშვილმა, — დღე არ გავა, ელდიანი ცნობები არ მოედოს საქართველოს: მავანი დაჭრეს, მოკლეს, ააფეთქეს, დაცხრილეს, მძევლად აიყვანეს, ბინა გაქურდეს, გაიფიცნენ, შიმშილი გამოაცხადესო!.. დაგვღალა ამდენმა დაძაბულობამ — როდემდე და სადამდე!

— პირდაპირ ბოღმა მაღრჩობს ეს პატრონდავსილი! — წინ წამოდგა მზეში დამწვარი, ტანბრგე გოდერძი ხუმარაშვილი — დილიჩის სამას ჰექტრიანი მევენახეობის განყოფილების გამგე, — თბილისში თითის სიგრძე ყმაწვილსაც რომ ეწყინოს რამე, მაშინვე გაიფიცაო, შიმშილი გამოაცხადაო! კაცო, სადაც სამართალია, შიმშილს ისინი კი არა, ეს ჩვენ, ქვემოქედელები უნდა ვაცხადებდეთ!

— რატომ?

— რატო და მერვე თვეა, გლეხკაცისათვის ხელფასი ვერ მიგვიცია — ფული არ არისო!.. საკმაო ავტობუსებს არ გვაწვდიან და ხალხი ზამთარ-ზაფხულ, მზესა და წვიმაში, თოვლსა და ქარში ღია სატვირთო მანქანებით დაგვყავს მინდვრად... სანთლით საძებარი გახდა საწვავ-საცხები და სათადარიგო ნაწილები, შხამ-ქიმიკატები, საშენი მასალა, მომთაბარე მწყემსებისთვის საჭირო ნივთები... შირაქი საქართველოს პურის ბეღლადაა მიჩნეული, შარშან ცხრა ათასი, წელს კი ექვსი ათასამდე ტონა მარცვლეული ვაწარმოეთ და დღესდღეობით სოფელს ფქვილს ვეღარ აწვდიან, რომ ჩვენთვის პური მაინც გამოვიცხოთ და მშიერი ხალხი დავაძღოთ... მაგასაც თავი დავანებოთ: საბჭოთა ხელისუფლების 70 წლის მანძილზე ქედის სოფლებს სასმელი წყალი ვერა და ვერ აღირსეს: ხალხი წვიმის წყალით ირეცხავს სარეცხს, ხოლო ვინც სამუშაოდ მიგვყავს ალაზანზე, საღამოთი, წამოსვლისას, სავსე მანქანას რომ შეხედო, გაოცდები: ყველას მდინარის წყლით სავსე სამლიტრიანი ქილა ჩაუხუტებია გულში, რომ შინ სასმელი წყალი მიიტანოს...

ხუმარაშვილს ჩაეცინა.

— ჩემმა საყვარელმა თბილისელებმა არ შემრისხონ, მაგრამ ხან გამეცინება, ხან ჯავრი დამივლის ხოლმე, როცა გაზეთიდან თუ ტელევიზორიდან მათ ჩივილს ვიგებ: ერთი კვირაა ჩვენს ბინაში ცხელი წყალი აღარ მოდისო! ცხელი არ მოდის და ცივი ხომ მოდის — აიღეთ და გაზქურაზე გაიცხელეთ! მაშ, ჩვენ რაღა უნდა ვთქვათ, რომ შირაქის ორმოც გრადუსიან პაპანაქებაში ხან ალაზნის აყალოიანი წყალიც კი გვენატრება?! ეჰ... ჰო, გზები? ეს გზები კი არა, ტანკოდრომის ოღროჩოღრო ნარვალებია!.. ელექტროენერგიის ეკონომიაა და პირველ რიგში ჩვენ გამოგვირთავენ ხოლმე, ქვემოქედელებს შუქი რად უნდათო!.. გაჭირვებული გლეხკაცი მაღაზიაში შევა და წამლადაც ვეღარ უპოვია ჩაქუჩი, გაზი, ლურსმანი, საათი, თერმომეტრი, ხერხი, ნამგალი — თურმე სულ თურქეთში მიეზიდებიან ტურისტები. ნუთუ მთავრობას იმდენი ძალა არ უნდა ჰქონდეს, რომ წესრიგი დაამყაროს საბაჟოში და გაიგნებულ ტურისტს პასუხი მოსთხოვონ — ეს ამდენ ნაწარმს სადა და რისთვის მიეზიდებიო!.. ეჰ, ჩვენი რომელი ერთი სატკივარი და გასაჭირი ჩამოვთვალო! მაგრამ ყველაფერს უსიტყვოდ ვითმენთ — ოღონდ ეშველოს საქართველოს! სანაცვლოდ კი რას ვიმკით: დაუმორჩილებლობა, დისციპლინის მოშლა, შური, მტრობა, ძმათაშორის სისხლისღვრა, მშრომელი კაცის ნაჯაფარის აბუჩად აგდება.

ხუმარაშვილმა სული მოითქვა.

— ჰოდა, აბა, რა გულით-ღა ვიჭირნახულოთ, რისთვის დავაყენოთ ღვინო? იმისთვის, რომ ერთმანეთზე აბობოქრებული ხალხი შეზარხოშდეს და უფრო გაბედულად ამო-

წყვიტონ ერთმანეთი? რა აზრი აქვს ჩვენს შრომა-გარჯას, რისთვის შევქმნათ დოვლათი? იმისთვის, რომ გზაარეულმა ახალგაზრდებმა ამ ფულითა და ბარაქით ჩვენი მტრისაგან ავტომატები შეიძინონ და ერთმანეთს დაერიონ?! ან ერთი ამიხსენით, გამაგებინეთ, სად, რომელ ქვეყანაში გაგონილა და ნახულა მთელი ერი — დიდიანპატარიანად პოლიტიკას გადაეგოს და სხვა ყველაფერი მიივიწყოს?! აბა, ერთი დაფიქრდით, რა გამოვა: უცებ მთელმა თბილისმა მეგენახეობა რომ მოისურვოს და სტიქიურად მოაწყდნენ შირაქის მოვლილ ზვრებს! კი მაგრამ თუ არ იცი როდის და როგორ უნდა ჩატარდეს ხვნა, კულტივაცია, გასხვლა, ახვევა, გაფურჩვნა, შეწამლვა, ჰერბიციდების შეტანა, დანეკვა, გადაწვენა და ათასი სხვა, ვენახს როგორ მოუვლი — განა მარტო მხურვალე სურვილი გიშველის?! ასეთ შემთხვევაში ხომ სულ წახდება ზვრები! ყველა სხვა დარგი და საქმეც ასე არ იქნება, კაცო! ჰოდა, მთავრობამ, თუკი რამე შეუძლიან, ამ გაპარტახებულ საქართველოს მიჰხედოს, ოპოზიციამ კანონიერების ფარგლებში თავისი საქმე აკეთოს, დანარჩენებმა კი ისწავლონ, იშრომონ, ყველამ თავთავის სამსახურს, საქმესა და კარფუძეს უპატრონოს, თორემ დღევანდელმა ბუნდოვანმა და არეულმა დრომ სულ მოშალა ისედაც მოშლილი დისციპლინა.

საუბარი კოლმეურნეთა წესრიგიანობას შეეხო.

— რესპუბლიკაში შექმნილ დღევანდელ მძიმე მდგომარეობას კოლმეურნეთა უმრავლესობა თავისებურად, უფრო სწორედ, თავის სასარგებლოდ იყენებს, — დინჯად დაიწყო კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ბიკენტი ბექაურმა, — თუ თავისი გაიყვანეს, ხომ რა კარგი, არადა, მოგაგდებენ კომბალს, მიატოვებენ კომბაინსა და გეტყვიან — ეგე, შენი ცხვარ-ძროხა, ეგე შენი სამკალი, როგორც გინდა, მოუარეო. კომუნისტური სისტემის კრახი და დემონტაჟი უმრავლესობას ესმის მცდარად, ანუ თავის სასარგებლოდ: რაზეც კი ხელი მიგიწვდება, ყველაფერი მოხვეტე და შინ წაიღე!!! ერთი სიტყვით, როგორც მათ წარმოუდგენიათ მომავალი საკოლმეურნეო ცხოვრება, ეს ყოვლად დაუშვებელია, მაგრამ კოლმეურნეობის აღარც ამ სახით მოთმენა შეიძლება, რა სახითაც დღესდღეობით არსებობს, ვინაიდან ეს არის უდისციპლინობა, ანარქია, ქაოსი, თვითნებობა, ბუნდოვანება, უპერსპექტივობა...

რა ელის საკოლმეურნეო წყობილებას, როდის, რითა და როგორ შეიცვლება იგი?! — აი, ეს არის დღეს ყველას თავსატეხი.

რა დასამალია, კოლმეურნეთა ერთი ნაწილი, რომელიც მშვენივრად მოერგო მეურნეობრიობის ამ სისტემას, შრომით თავს არ იკლავს, მაგრამ ყველა ჯამში ხელს ურევს და ხალხის ნაოფლარით პარპაშობს, კოლმეურნეობაზე ლოცულობენ და არასდიდებით არ სურთ მისი გაუქმება. მეორე ნაწილი, რომელსაც კოლმეურნეობიდან წყენის, დამცირების, ძალმომრეობისა და ჩაგვრის მეტი არაფერი ახსოვთ, მზად არის თუგინდ ჯოჯოხეთში გადაეშვას, ოღონდ კოლმეურნეობის სახსენებელი გაქრეს. მესამე ნაწილი ნათლად ხედავს, რომ ამ სისტემამ თავისი დრო დიდი ხანია მოჭამა და საჭირო და აუცილებელია რადიკალური ცვლილებები. მეოთხე და საკმაოდ დიდი ნაწილი კი არც აქეთაა, არც იქით — ყოყმანსაა მიცემული. ისინი აშკარად გრძნობენ, რომ კოლმეურნეობა ბევრი მანკიერი თვისების მატარებელია, მაგრამ იმასაც ხვდებიან, რომ იგი, როგორც სამეურნეო სისტემა, ძველი ურემივით თავისთვის მიჯაყჯაყებს და მისი თანამგზავრი, ასე თუ ისე, მშიერი მაინც არ მოკვდება. კეთილი, დაიშალოს კოლმეურნეობა, მაგრამ სანაცვლოდ რა და როგორ იქნება, ემანდ უარეს დღეში არ ჩაცვივდნენ! უბრალო გლეხის გონებას, რომელსაც არც ძვირადღირებული სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შესაძენი თანხები გააჩნია და არც ტექნიკის ინჩიბინჩი გაეგება, ვერ გადაუხარშავს ასეთი მტკივნეული საკითხები: რით იყიდოს ტექნიკა, ან სადა და როგორ შეიძინოს საწვავ-საცხები, სათადარიგო ნაწილები თუ შხამქიმიკატ-სასუქები, როცა დღეს თვით ყოვლისშემძლე თავმჯდომარეებსაც კი უჭირთ მათი შოვნა. მიწა რომ ვერ დაამუშაონ, რა მოელით — გაყიდიან თუ ისევ წაართმევენ. ისე არ მოხდეს ბოლოს, რომ სხვის მოჯამაგირეებად იქცნენ და კოლმეურნეობა სანატრელი გაუხდეთ.

— ძალიან ძნელი იქნება, ძალიან.

— ეს პირველად იქნება ძნელი, უფრო სწორედ — ეს ჩვენ გვეჩვენება ძნელი, თორემ ყველაფერი საათივით აეწყობა მერე! მთავარი დაწყებაა! — დაბეჭდა გოდერძი ხუმარაშვილმა, — არაა აუცილებელი ყველამ ტრაქტორ-კომბაინი შეიძინოს. შედგება ამხანაგობები და ერთობლივად დაამუშავებენ ნაკვეთს. აქ მთავარი ის არის, რომ მიწას თავისი კონკრეტული პატრონი და მოცოდომადლე ეყოლება! ეს ასეა და აქ ყოყმანი დროის უქმად დაკარგვაა და მეტი არაფერი! დოვლათს მხოლოდ მიწაზე კერძო საკუთრება მოგვიტანს! ამ მიჯნამდე არ მივალთ ჩვენი შეგნებითა და ნებით? კეთილი, მაშინ ახლო მომავალში სასტიკი შიმშილი მათრახით მიგვრეკავს იქამდე!!!

— გოდერძა მართალია! — საუბარში ჩაერია რესპუბლიკის დამსახურებული მექანიზატორი აბრამ ბურდული, — სადაც მიწის ყადრი არ არის, იქ არც დოვლათი იქნება. პატარა ბიჭი ვიყავი, პირველად ტრაქტორი რომ მანდეს და მახსოვს, სამ ცვლად ვმუშაობდით. ღამით შუქფარებზე ვხნავდით — აბა, ტრაქტორს ვინ გაგვაჩერებინებდა. თუ მიწას თავისი პატრონი და გულშემატკივარი ჰყავს, ტრაქტორის მოტორს ვინ გააცივებს! ახლა? ეს 15-20 წელიწადია, მე აღარ დამინახავს ვინმე შუქფარებით ხნავდეს: შუადღემდე წაიმუშავებენ და მორჩა! არა, ძმაო, მოსახდენი უნდა მოხდეს!

— მოსახდენი რომ უნდა მოხდეს, ეგ ყველამ ვიცით და მაგაზე აღარავინ დაობს, — განაგრძო ბიკენტი ბექაურმა, — აქ მთავარი გარდამავალი ფაზაა! ზევიდან ხშირად გვეუბნებიან — არავინ გიშლით, როგორც გინდათ, ისე გადადით ინდივიდუალური მეურნეობის სისტემაზეო. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ მე ერთი რიგითი ხელმძღვანელი და ინჟინერ-მექანიკოსი ვარ და ჩემი ჭკუა-გონება და გამოცდილება საკმარისი იქნება საიმისოდ, რომ კოლმეურნეობა ჩემი შეხედულებისამებრ დავშალო?! როგორი უნდა იყოს ქონების გაყოფის პრინციპი და მეთოდი. აი, რა არის საფრთხილო და ასჯერ გასაზომი, თორემ სულ უმნიშვნელო დეტალის გაუთვალისწინებლობამაც კი შეიძლება მტრობის, შურის, გულნაკლულობისა და ერთმანეთზე სამუდამოდ გადაკიდების თესლი ჩააგდოს სოფლელებს შორის. ამიტომ, ჩემი აზრით, აქ ერთად უნდა დასხდნენ სახელმწიფო კაცები, დიდი მეცნიერები, საკოლმეურნეო მოძრაობის პრაქტიკოსები და ერთობლივად შეიმუშაონ კოლმეურნეთა შორის საკოლმეურნეო უძრავ-მოძრავი ქონების გაყოფა-განაწილებისა და მათი შემდგომი გამოყენების ისეთი პრინციპი, რომ რესპუბლიკის ეკონომიკა აყვავების გზით წავიდეს. აქ აჩქარება ან მიფუჩეჩება ხელს არ მოგვცემს, ვინაიდან დღეს ქართული სოფელი, მისი სამეურნეო სისტემა მეტად ძნელ გზაჯვარედინზე დგას.

ჯემალ მეხრიშვილი

ინტელიგენცია და მართლშეგნება

ბოგდან კისტიაკოვსკი

[redacted]

რუსეთის ინტელიგენციის მართლშეგნების დაჩლუნგება და სამართლებრივი იდეებით დაუინტერესებლობა ძველი ბოროტების — რუსი ხალხის ყოფაში სამართლებრივი წესრიგის არარსებობის შედეგია. გერცენი ჯერ კიდევ გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში წერდა: „სამართლებრივი დაუცველობა, რაც ოდითგანვე ძალიან მძიმე ტვირთად აწვა ხალხს, მისთვის ერთგვარი სკოლა იყო. კანონების ერთი ნაწილის აშკარა უსამართლობამ, ხალხს სხვა კანონებიც შეაზიზღა, სამართლის წინაშე უთანასწორობამ კანონიერებისადმი პატივისცემა ჩაკლა. რუსი, რომელი წოდების წარმომადგენელიც არ უნდა იყოს იგი, კანონს ყოველთვის გვერდს უვლის, ან არღვევს და ამას დაუსჯელობის იმედით სჩადის. ზუსტად ასევე იქცევა მთავრობაც“. სამართლებრივი მოუწყობლობის ამ ყოვლად არასახარბიელო სურათს რომ გვიხატავს, გერცენი, როგორც ჭეშმარიტად რუსი ინტელიგენტი, იქვე დასძენს თავად: „ამჟამად ეს მძიმე ასატანია და დიდად სავალალო, მაგრამ მომავალი პერსპექტივის თვალსაზრისით უეჭველად დიდი უპირატესობაა, რადგან სწორედ აქ საცნაურდება ის გარემოება, რომ რუსეთში ხილული სახელმწიფოს მიღმა არ დგას მისი იდეაც — უხილავი სახელმწიფო, საგანია არსებული წესრიგის აპოთეოზი“.

ამრიგად, გერცენი მიიჩნევს, რომ რუსული საზოგადოებრივი ცხოვრების ამ ძირეულ ნაკლოვანებაში ერთგვარი უპირატესობაა. ეს აზრი პირადად მისი კი არა, ორმოციანი წლების ადამიანთა მთელი ერთი წრისაა — ძირითადად სლავიანოფილური ჯგუფისა. რუსულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში გარეგანი სამართლებრივი ფორმატის სისტემისა და გარეგანი მართლწესრიგის სრულ უქონლობაში ისინი ხედავდნენ დადებითსა და არა უარყოფით მხარეს. კონსტანტინ აქსაკოვი ამტკიცებდა მაგალითად, რომ „დასავლეთის კაცობრიობა“ გარეგანი სიმართლის, ანუ „სახელმწიფო გზით“ მიდიოდა, რუსი ხალხი კი „შინაგანი სიმართლის“ გზით წავიდა. ამიტომაც, ურთიერთობა ხალხსა და სახელმწიფოს შორის რუსეთში, განსაკუთრებით პეტრემდე, ერთმანეთისადმი ნდობას და ერთმანეთისათვის სარგებლობის მოტანის სურვილს ემყარებოდა. მაგრამ — ფიქრობს იგი — „იქნებ გვითხრან, ხალხმა, ან ხელისუფლებამ ხომ შეიძლება ერთმანეთს უღალატოს? გვჭირდება გარანტია!“ ამაზე აქსაკოვი ასეთ პასუხს იძლევა: „რა საჭიროა გარანტია?! გარანტია ბოროტებაა — სადაც ის აუცილებელია, იქ არც სიკეთეა და სადაც სიკეთე არ არის, ცხოვრება უმჯობესია დაინგრეს, ვიდრე ბოროტების შემწეობით იდგეს ფეხზე“.

შეცდომა იქნებოდა, გვეფიქრა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის სამართლებრივი პრინციპების მნიშვნელობის უგულვებელყოფა მარტოოდენ სლავიანოფილების თავისებურება იყოს. საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის სამართლებრივი ნორმების მნიშვნელობის შეუფასებლობა ჩვენი ინტელიგენციის საერთო თვისებად უნდა მივიჩნიოთ.

მყარი მართლწესრიგის საფუძველს პიროვნების თავისუფლება და მისი ხელშეუხებლობა შეადგენს. რუს ინტელიგენციას საკმარისი საფუძველი გააჩნდა, სწორედ პირადი უფლებებით დაინტერესებულიყო. პიროვნების იდეალის ჩვენეულზე უფრო მრავალმხრივსა და სრულფასოვან ძიებასაც იშვიათად თუ წააწყდებით თითქოს სხვა რომელიმე ქვეყანაში და საფიქრებელია, რომ ამ მხრივ მაინც ყველაფერი წესრიგში უნდა გვქონდეს, მაგრამ სწორედ აქ ვხედავთ ყველაზე დიდ ხარვეზს — ჩვენს საზოგადოებრივ ცნობიერებას არასდროს წამოუყენებია სამართლებრივი პიროვნების იდეალი. ამ იდეალის ორივე მხარე — პიროვნება, რომელიც დისციპლინირებულია სამართლით და მყარი მართლწესრიგით და პიროვნება, რომელიც აღჭურვილია და თავისუფლად სარგებლობს ყველა უფლებით — ერთნაირად უცხოა ჩვენი ინტელიგენციისათვის.

ჩვენი მართლშეგნების უბადრუკობით აიხსნება რევოლუციის წლების განსაცვიფრებელი უნაყოფობაც სამართლებრივი თვალთახედვით. ამ წლებში რუსეთის ინტელიგენციამ სამართალშემოქმედების პროცესის სრული გაუგებრობა გამოავლინა. მან ის ძირითადი ჭეშმარიტებაც კი არ იცოდა, რომ ძველი სამართალი არ შეიძლება გაუქმდეს ისე, თუ ახლით არ შეიცვალა. ძველი სამართალი ამ შემთხვევაში კი არ უქმდება, არამედ მოქმედებას წყვეტს დროებით, რათა მოგვიანებით განახლებული ძალით აღდგეს თავის უფლებებში. განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ამან თავი იჩინა საგანცხადებო წესით კრებების თავისუფლების განხორციელებისას. ჩვენი ინტელიგენცია უუნარო აღმოჩნდა, კრებების თავისუფლებისათვის განსაზღვრული სამართლებრივი ფორმები შეექმნა. როგორც პირველი სახელმწიფო სათათბიროს იმ დებატებიდან გამოჩნდა, კრებების თავისუფლების შესახებ „კანონპროექტს“ რომ მიეძღვნა, კრებების თავისუფლება უნდოდათ დაეკანონებინათ ყოველგვარი იურიდიული ფორმის გარეშე. ამ დებატების გამო პირველი სახელმწიფო სათათბიროს ერთ-ერთი წევრი, გამოჩენილი იურისტი, სრულიად სამართლიანად შენიშნავს, რომ კრებების თავისუფლების მარტოოდენ აღიარებამ პრაქტიკულად იქამდე მიგვიყვანა, რომ მოქალაქეებმა ზოგჯერ თავად იწყეს ამ თავისუფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ გამოსვლა. რაოდენ არასრულყოფილიც არ უნდა იყოს აღმასრულებელი ორგანოების მუშაობა, ყველა შემთხვევაში მაინც უფრო უსაფრთხო და მართებულია, მათი დაყოფით მოქალაქეთა დაცვა თავისუფლების ბოროტად გამოყენების ამ ფაქტებისაგან, ვიდრე ის, რომ ადამიანები მივატოვოთ პირადი ანგარიშსწორების ანბარა“.

ავიღოთ თუნდაც სოციალ-დემოკრატიული პარტია. მეორე ყრილობაზე შემუშავდა პარტიის წესდება. წესდებას კერძო კავშირისათვის იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც კონსტიტუციას — სახელმწიფოსათვის. ესა თუ ის წესდება თითქოს პარტიის რესპუბლიკურ ან მონარქიულ წყობილებას განსაზღვრავს. იგი მის ცენტრალურ დაწესებულებებს ანიჭებს არისტოკრატიულ ან დემოკრატიულ ხასიათს; ადგენს ცალკეული წევრების უფლებებს მთლიანად პარტიის მიმართ. შეიძლება ვიფიქროთ, რომ იმ პარტიის წესდება, რომელიც რესპუბლიკელებისაგან შედგება, მისი წევრებისათვის უნდა უზრუნველყოფდეს პიროვნების თავისუფლებასა და სამართლებრივი წყობილების მინიმალურ გარანტიებს. მაგრამ, როგორც ჩანს, პიროვნების თავისუფალი თვითგამორკვევა და რესპუბლიკური წყობილება ჩვენი ინტელიგენციის წარმომადგენლებისათვის ისეთი წვრილმანია, რომელიც საყურადღებო არ არის. ყოველ შემთხვევაში მაშინ, როცა საჭიროა ამ პრინციპების არა პროგრამებში გამოცხადება, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაში განხორციელება. ყრილობაზე მიღებულ წესდებაში ყველაზე ნაკლებადაა წარმოდგენილი თავისუფალი ინსტიტუტები. აი, როგორ დაახასიათა ეს წესდება მარტოვმა, ყრილობის იმ ჯგუფის ლიდერმა, რომელიც უმცირესობაში მოექცა: „ძველი რედაქციის (გაზეთი „ისკრა“) უმრავლესობასთან ერთად, ვფიქრობდი, რომ ყრილობა ბოლოს მოუღებდა პარტიის შიგნით „საალყო მდგომარეობას“ და მასში ნორმალურ წესრიგს შეიტანდა. სინამდვილეში „საალყო მდგომარეობა“ ცალკეული ჯგუფების წინააღმდეგ გრძელდება და მწვავდება კიდეც“. მაგრამ ამ დახასიათებას სულაც არ შეუშფოთებია უმრავლესობის ჯგუფის ხელმძღვანელი — ლენინი, რომელიც დაჟინებით მოითხოვდა

იგეგზდება შემოკლებით.

სამართლის დასაცავად

წესდების მიღებას „საალყო მდგომარეობით“.

იმ სამართლებრივი ცნებების დახასიათებლად, რომლებიც ბატონობენ ჩვენს რადიკალურ ინტელიგენციაში, უნდა ითქვას, რომ წესდება — „საალყო მდგომარეობით“ მიღებულ იქნა მხოლოდ ორი ხმის უმრავლესობით. ამრიგად, დაირღვა ძირითადი სამართლებრივი პრინციპი, რომლის თანახმად, საზოგადოებათა წესდებები, ისე როგორც კონსტიტუცია, მტკიცდება კვალიფიციური უმრავლესობის მიერ განსაკუთრებულ საფუძვლებზე. უმრავლესობის ხელმძღვანელი ყრილობაზე კომპრომისზე არ წავა მაშინაც კი, როცა ყველასთვის ნათელია, რომ წესდების მიღება „საალყო მდგომარეობით“ პარტიას განხეთქილებამდე მიიყვანს, რის გამოც შექმნილი ვითარება უცილობლად მოითხოვს კომპრომისს. საბოლოოდ მართლაც წარმოიშვა განხეთქილება „ბოლშევიკებსა“ და „მენშევიკებს“ შორის. მაგრამ ყველაზე საინტერესო მაინც ისაა, რომ მიღებული წესდება, რომელიც განხეთქილების მიზეზი იყო, პრაქტიკულად სრულიად უვარგისი გამოდგა. ამიტომაც ორი წელიც არ გასულა, რომ 1905 წელს, ეგრეთწოდებულ მესამე რიგით ყრილობაზე, რომელიც მხოლოდ „ბოლშევიკებისაგან“ შედგებოდა (მენშევიკებმა თავი აარიდეს მასში მონაწილეობას, პროტესტი გამოთქვეს ყრილობაზე წარმომადგენლობის წესის გამო), 1903 წლის წესდება შეიცვალა და ახალი წესდება შემუშავდა, რომელიც მისაღები იყო მენშევიკებისთვისაც. მაგრამ ამას უკვე აღარ მოუტანია პარტიის გაერთიანება. ერთმანეთისაგან თავდაპირველად ორგანიზაციული საკითხების გამო გამიჯნულმა ბოლშევიკებმა და მენშევიკებმა ურთიერთმტრობა უკიდურესობამდე მიიყვანეს და შეურიგებლობა ტაქტიკის საკითხებზეც გაავრცელეს. აქ უკვე ამოქმედდნენ სოციალურ-ფსიქოლოგიური კანონები, რომლის მიხედვით, ადამიანებში ერთხელ ჩამოგდებული შუღლი და დაპირისპირება, მათი შინაგანი თვისებების გამო, მუდმივად ღრმავდება და ფართოვდება, თუმცა სამართლებრივი თვალთახედვით ძლიერი შეგნების მქონე ადამიანებს შეუძლიათ ეს ემოციები ჩაიხშონ და განვითარების საშუალება არ მისცენ. მაგრამ ეს მხოლოდ ისეთ ადამიანებს შეუძლიათ, რომლებსაც ნათლად აქვთ შეგნებული, რომ ყოველგვარი ორგანიზაცია და საერთოდ, ყოველგვარი საზოგადოებრივი ცხოვრება კომპრომისზეა აგებული. ჩვენს ინტელიგენციას, ცხადია, ეს ძალუძს, მაგრამ მან თავისი სამართლებრივი შეგნება ჯერ ისე ვერ ჩამოაყალიბა, რომ კომპრომისების აუცილებლობა აშკარად აღიაროს.

წესდებების და იძულებითი წესების ყოვლისშემძლეობის რწმენა მარტოოდენ რუსი სოციალ-დემოკრატების დამახასიათებელი თვისება როდია. ამ რწმენაში მეღავნდება მთელი ჩვენი ინტელიგენციის წყლულები. ჩვენს პარტიებს არ გააჩნიათ ჭეშმარიტად ცოცხალი და ქმედითი მართლშეგნება. არსად არ ლაპარაკობენ პარტიულ დისციპლინაზე იმდენს, როგორც ჩვენთან. ყველა პარტიაში, ყველა ყრილობაზე დისციპლინის აუცილებლობაზეა საუბარი. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ ღია ორგანიზაციები ჩვენთვის ახალი საქმეა. ასეთ ახსნაში ალბათ არის ჭეშმარიტების მარცვალი, მაგრამ ეს არ არის მთელი და ძირითადი ჭეშმარიტება. ამ მოვლენის არსებითი მიზეზი ისაა, რომ ჩვენი ინტელიგენციისათვის უცხოა ის სამართლებრივი რწმენა, რაც მას შინაგანად მოაწესრიგებდა. ჩვენ გვსურს გარეგანი დისციპლინა იმიტომ, რომ შინაგანი დისციპლინა არა გვაქვს. აქ ჩვენ სამართალს აღვიქვამთ არა როგორც სამართლებრივ დარწმუნებას, არამედ როგორც ძალდატანებით წესს და ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენი მართლშეგნების დაბალ დონეს.

როცა რუსეთის ინტელიგენციის მართლშეგნებას ვახასიათებდით, ჩვენ განვიხილეთ ინტელიგენციის დამოკიდებულება სამართლის ორ ფორმასთან — პიროვნების უფლებებთან და ობიექტურ მართლწესრიგთან. კერძოდ, შევეცადეთ გაგვერკვია, თუ როგორ მეღავნდება ეს მართლშეგნება ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტისას, ესე იგი, ფართო გაგებით, კონსტიტუციური საკითხების გადაწყვეტისას. ჩვენი ინტელიგენტური ორგანიზაციების მაგალითზე შევეცადეთ ასევე გაგვერკვია, თუ რაოდენ შესწევს ჩვენს ინტელიგენციას სახელმწიფოს სამართლებრივ რეორგანიზაციაში მონაწილეობის, ესე იგი სახელმწიფო ხელისუფლების გარდაქმნაში მონაწილეობის უნარი. სხვანაირად რომ ვთქვათ, შეუძლია თუ არა მას ძალის ხელისუფლებაზე უარის თქმა და სამართლის ხელისუფლების ჩამოყალიბებაში მონაწილეობა. დახასიათება სრულყოფილი ვერ იქნება, თუ არ შევჩერდებით რუსეთის ინტელიგენციის დამოკიდებულებაზე სასამართლოს მიმართ. სასამართლო ის დაწესებულებაა, სადაც სამართალი გადმოიცემა და დგინდება. ვიდრე სამართლის ნორმები კანონმდებლობის მეშვეობით განვითარდებოდა, სამართალი იქმნებოდა სასამართლოს გადაწყვეტილებებით. ასე იყო ყველგან. მხარეები, როცა მათ ესა თუ ის საკითხი სასამართლოს სამსჯავროზე გამოჰქონდათ, თავიანთ პირად ინტერესებს იცავდნენ. თითოეული „თავის სასამართლოს“ ამტკიცებდა. მოსამართლე. თავის გადაწყვეტილებაში იძლეოდა იმის ავტორიტეტულ განსაზღვრებას, თუ რაში მდგომარეობს მოქმედი სამართლებრივი ნორმის შინაარსი, თანაც ემყარებოდა საზოგადოებრივ მართლშეგნებას. მოსამართლეს მხოლოდ მაშინ შეეძლო ჭეშმარიტი მართლმსაჯულების განხორციელება, თუკი ზურგს უმაგრებდა ხალხის ცოცხალი და აქტიური მართლშეგნება. შემდგომ სასამართლოებისა და მოსამართლეების ეს სამართალშემოქმედებითი საქმიანობა ნაწილობრივ დაფარა სახელმწიფოს საკანონმდებლო სამართალშემოქმედებამ. სახელმწიფოებრივი მოწყობის კონსტიტუციური ფორმების შემოღებამ ის მოიტანა, რომ სახალხო წარმომადგენლობის სახით შეიქმნა სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანო, რომელიც მოწოდებულია უშუალოდ გამოხატოს ხალხის მართლშეგნება, თუმცა სახალხო წარმომადგენლობის საკანონმდებლო საქმიანობას როდი შეუძლია გააუქმოს სასამართლოს მნიშვნელობა სახელმწიფოში სამართლის მეუფებისათვის. თანამედროვე კონსტიტუციურ სახელმწიფოში სასამართლო, უწინარეს ყოვლისა, სამართლის მფარველია; მერე კი, როცა სამართალს იყენებს, იგი ახლის შემოქმედია. სწორედ უკანასკნელ ათწლეულში, იურისტმა თეორეტიკოსებმა ყურადღება მიაქციეს იმას, რომ სასამართლომ შეინარჩუნა ეს როლი, კანონმდებლობის არსებული სისტემის მიუხედავად, რომელიც უპირატესობას წერილობით სამართალს ანიჭებს. სასამართლოს შესახებ კონსტიტუციური სახელმწიფოს თვალთახედვით ეს ახალი შეხედულება უახლეს კოდექსებშიაც იჭრება... ამდენად, ევროპის ყველაზე დემოკრატიულმა და მოწი-

ნავე ხალხმა მოსამართლე საზოგადოების ისეთივე წარმომადგენლად მიიჩნია, როგორც სახალხო წარმომადგენელი, რომელიც მოწოდებულია საკანონმდებლო საქმიანობისათვის. უფრო მეტიც, ზოგჯერ ცალკეული მოსამართლის მნიშვნელობა უფრო დიდია, რადგან ხშირად იგი საკითხს ერთპიროვნულად წყვეტს. თუმცა მისი გადაწყვეტილება საბოლოო არ არის, რადგან ინსტანციური სისტემის მეშვეობით, საქმე შესაძლებელია უმაღლეს ინსტანციაში გადავიდეს. ყოველივე ეს ნათელყოფს, რომ განვითარებული მართლშეგნების მქონე ხალხი უნდა ინტერესდებოდეს სასამართლოს საქმიანობით და პატივს სცემდეს თავის სასამართლოს, როგორც თავისი მართლწესრიგის მფარველს.

მაინც როგორია ჩვენი ინტელიგენციის დამოკიდებულება სასამართლოსადმი? მიგვაჩნია, რომ ჩვენი სასამართლოების ორგანიზაცია, რაც ალექსანდრე II-ის დროს 1864 წლის 20 ნოემბერს სასამართლო წესდებებით შეიქმნა, მთლიანად შეესაბამება სამართლებრივ სახელმწიფოში სასამართლოებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. ამრიგად, მოწყობილი სასამართლო ერთობ გამოსადეგია ჰეშმარიტი მართლწესრიგის დასამყარებლად, სასამართლო რეფორმის მოღვაწენი ცდილობდნენ ახალი სასამართლოების მეშვეობით რუსეთი სამართლებრივი წყობილებისათვის მოემზადებინათ. სასამართლოებიც საამისოდ განსაკუთრებულ იმედებს იძლეოდნენ. ჩვენი საზოგადოებაც თავდაპირველად ცოცხალი ინტერესითა და სიყვარულით განიმსჭვალა მათდამი. მაგრამ ახლა, ორმოცი წლის შემდეგ, სინანულით უნდა ვაღიაროთ, რომ ყოველივე ეს ილუზია იყო და ჩვენ კარგი სასამართლო არა გვაქვს. გაუარესება მაშინ დაიწყო, როცა საქმეების მთელი წყება, უპირატესად პოლიტიკური საქმეები, საერთო სასამართლოების გამგებლობიდან ამოიღეს და გამოძიებისა და მართლმსაჯულების განსაკუთრებულ ფორმებს დაუქვემდებარეს. მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა, როცა სასამართლოების დამოუკიდებლობა შეიზღუდა და ისინი დაქვემდებარებულ მდგომარეობაში მოექცნენ. მთავრობა ამ დროს მხოლოდ პოლიტიკური მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა...

განსაცვიფრებელია ჩვენი საზოგადოების გულგრილობა სამოქალაქო სასამართლოებისადმი. საზოგადოების ფართო ფენებს სულაც არ ინტერესებს მათი ორგანიზაცია და საქმიანობა. ჩვენი პრესა ყურადღებას არ აქცევს მათ მნიშვნელობას, არ აქვეყნებს ცნობებს მათი, სამართლებრივი თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების შესახებ, ამასთან, სამოქალაქო სასამართლოს რომ საზოგადოება აკონტროლებდეს და აწესრიგებდეს, სასამართლო უზარმაზარ გავლენას მოახდენდა მართლწესრიგის განვითარებასა და განმტკიცებაზე. როცა სამოქალაქო სასამართლოების მერყეობაზე ლაპარაკობენ, ჩვეულებრივ ამას ჩვენი მატერიალური სამართლის დეფექტურობით ხსნიან ხოლმე. მართლაც, ჩვენი კანონთა წიგნები არქაულია, სავაჭრო სამართლის კოდექსი საერთოდ არა აქვს, სამოქალაქო ზრუნვის ზოგიერთი სხვა სფეროებიც საერთოდ არ არის მოწესრიგებული წერილობითი სამართლის ზუსტი ნორმებით. განვითარებული მართლშეგნების მქონე ხალხებს ასეთსავე პირობებში, წერილობითი სამართლის მწყობრი სისტემა განუვითარდათ, ჩვენთან სამოქალაქო მართლწესრიგი ისევ მერყეევ მდგომარეობაში რჩება. ცხადია, ჩვენც გვაქვს სასამართლო გადაწყვეტილებებით შექმნილი სამართალი; ამის გარეშე ვერც ვიქნებოდით და ეს სასამართლოების განსაზღვრული თანმიმდევრულობიდან მოდის. მაგრამ არც ერთ ქვეყანაში უზენაესი საკასაციო სასამართლოს პრაქტიკა ისე მერყეევი და წინააღმდეგობრივი არ არის, როგორც ჩვენთან. არც ერთი საკასაციო სასამართლო ისე ხშირად არ აუქმებს საკუთარ გადაწყვეტილებებს, როგორც ჩვენი სენატი. უკანასკნელ პერიოდში სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტების გადაწყვეტილებაზე ძლიერ გავლენას ახდენს ისეთი მოტივები, რომლებიც ძალზე შორსაა სამართლისაგან. ეჭვს გარეშეა ისიც, რომ უზენაესი საკასაციო სასამართლოს მერყეობაში მნიშვნელოვანწილად დანმაშავეა ჩვენი საზოგადოებაც, რომელიც გულგრილია მის ირგვლივ არსებული სამოქალაქო მართლწესრიგის მუდმივობის და გონივრულობის მიმართ. ამით ნაკლებად ინტერესდებიან ჩვენი თეორეტიკოსი იურისტებიც კი და ამიტომაც ჩვენი სენატის საკასაციო პრაქტიკა თითქმის შეუსწავლელია. ჩვენ არ გაგვაჩნია ბეჭვდითი სიტყვის სპეციალური ორგანოები ამ ამოცანების შესასრულებლად. ჩვენი ერთადერთი ყოველკვირეული იურიდიული გაზეთი „პრავო", რომელიც ფორმალური სამართლის დაცვისა და შემუშავების საკითხებს ეძღვნება, სულ ათი წელია, რაც არსებობს.

საზოგადოების უყურადღებობა სამოქალაქო მართლწესრიგისადმი განსაცვიფრებელი იმითაა, რომ სამოქალაქო მართლწესრიგი ჩვენი ცხოვრების ყველაზე არსებით საკითხებს მოიცავს. მათ გადაწყვეტაზე დამოკიდებულია ჩვენი საზოგადოებრივი, საოჯახო და მატერიალური ცხოვრების მოწესრიგება.

როგორიცაა ჩვენი მართლშეგნება, ისეთივეა ჩვენი სასამართლო. რეფორმის პერიოდის სასამართლოების მხოლოდ პირველი შემადგენლობებიდან თუ შეიძლება თითოოროლა ადამიანის დასახელება, რომლებმაც სასიკეთო გავლენა მოახდინეს ჩვენს საზოგადოებრივ მართლშეგნებაზე. ბოლო ორ ათწლეულში კი ჩვენი სასამართლოებიდან არ დაწინაურებულა არც ერთი მოსამართლე, რომელიც რუსეთის საზოგადოებაში საყოველთაო აღიარებასა და სიმპათიას მოიპოვებდა. „მოსამართლე" ჩვენთან არ არის ისეთი საპატიო წოდება, რომელიც გულისხმობდეს მიუკერძოებლობის, უანგარობის, სამართლის ინტერესებისადმი თავდადებას, როგორც სხვა ხალხებთან გულისხმობს. ჩვენთან არ არსებობს პიროვნული სისხლის სამართლის სასამართლო, უფრო მეტიც, ჩვენი სისხლის სამართლის სასამართლო შურისძიების იარაღად იქცა. აქ, ცხადია, გადამწყვეტ როლს პოლიტიკური მიზნები თამაშობენ. პირდაპირ გასაოცარია ზოგიერთი მოსამართლის უმეცრება და დაუდევრობა; უმრავლესობა კი თავის საქმეს, რაც აზროვნების დაძაბვას ითხოვს, ყოველგვარი ინტერესის, საკუთარი მდგომარეობის მნიშვნელობისა და პასუხისმგებლობის შეგნების გარეშე ეკიდება. ვერც რუსული საზოგადოების ფართო წრეებში ვხედავთ სასამართლოს მნიშვნელობის ჰეშმარიტ გაგებას და მისადმი პატივისცემას. ეს განსაკუთრებით თავს იჩენს ორ ელემენტში, რაც სასამართლოებში საზოგადოებიდან წარმოდგება — მოწმეებსა და ექსპერტებში. ძალზე ხშირად ჩვენს სასამართლოებში ვრწმუნდებით, რომ მოწმეებსა და ექსპერტებს სულაც არ აქვთ შეგნებული მათი ნამდვილი ამოცანა — ხელი შეუწყონ ჰეშმარიტების დადგენას.

1864 წლის სასამართლო რეფორმამ ჩვენთან შექმნა სამართლის თავისუფალ მსახურთა — ნაფიც ვექილთა წოდება. მაგრამ აქაც სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ თითქმის ნახევარსაუკუნოვანი არსებობის მიუხედავად, ნაფიც ვექილთა წოდებამ ცოტა რამ მოიტანა მართლშეგნების განვითარების თვალსაზრისით. ჩვენ გვყავდა და გვყავს ადამიანები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს სისხლის სამართლის თუ პოლიტიკურ საქმეებში. მართალია, მათ შორის იყვნენ დამნაშავისადმი მუმანური დამოკიდებულების მხურვალე მქადაგებელნი, მაგრამ უმრავლესობა მაინც განსაზღვრული პოლიტიკური იდეალისათვის იბრძოდა, თუ გნებავთ, „ახალი სამართლისათვის" და არა „სამართლისათვის" ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით.

ყველაფერი, რაც ჩვენი ინტელიგენციის მართშეგნების დაბალი დონის შესახებ ითქვა, არ არის ნათქვამი არც განკითხვის მიზნით და არც დასაძრახად, რუსეთის რევოლუციის დამარცხება და ბოლო წლების მოვლენები საკმაოდ მკაცრი განაჩენია ჩვენი ინტელიგენციისათვის. ახლა ინტელიგენცია უნდა ჩაუღრმავდეს საკუთარ თავს, საკუთარ მდგომარეობას, რათა განაახლოს და გააჯანსაღოს იგი. ამ შინაგანი მუშაობის პროცესში ბოლოსდაბოლოს გაიღვიძებს კიდეც რუსეთის ინტელიგენციის მართლშეგნება და ახლებური საზოგადოებრივი ცხოვრების შემქმნელი და შემოქმედი იქნება. მწარე გამოცდილებებით რუსეთის ინტელიგენცია აბსოლუტური ღირებულების — პიროვნული სრულყოფისა და ზნეობრივი მსოფლწესრიგის გვერდით, შეფარდებითი ღირებულების ყველაზე ჩვეულებრივი, მაგრამ მყარი და ურღვევი მართლწესრიგის აღიარებამდე უნდა მივიდეს.

თარგმნა **თეიდო ნინიძემ.**

ᲓᲐᲮᲕᲠᲔᲨᲘ

ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲒᲐ ᲒᲝᲒᲘ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ

— ჯარისკაცო, შენ გძინავს?!
— არა, არ მძინავს.
— შენ გეძინა?!
— არა, არა.
— რომ მოგიხელთო?! ვნახავ!
— არ დამეძინება. — გაისმის მორიგე ოფიცრის ფეხის ხმა კლდოვან ნიადაგზე. ლანდი საფარს შორდება. ჯარისკაცი წამით ითიშება, თავი ქინდვრით ენარცხება შაშხანის სასხლეტს. წვიმის წვეთები როკავენ ჩაჩქანზე და ხელებზე წურწურით იღვრებიან. ხელები სველდება და ითოშება. უბეში გასათბობად ვერ შეიყოფ. წვიმს გადაუღებლად. წვიმის წვეთები როკავენ ჩაჩქანზე, მათი ხმაური ჩადის ტვინში ფოლადის გამჭოლ ჭიანჭველას შეხების მიმგვანო ჟრუანტელად.

ბნელა.

ჯარისკაცები წვანან ღამეში და წვიმაში მთაგრეხილზე, ყორედნაგებ საფარებში, ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან ათიოდე ნაბიჯის მოშორებით. გრძნობენ სველ მაზარებში საკუთარ ნელთბილ სხეულებს. ნიდაყვებზე ყრდნობით მხრები ტკივა, თითქოს იზრდება, ამოდის საფარის დაბალ ყორეს ზევით, რომ მტრისთვის სამიზნედ შეიქმნას.

ჯარისკაცებმა იციან, ძილი აკრძალულია. მტერი შეიძლება წამიდან წამზე მოადგეს საფარს ბნელით ჩახერგილი ხევიდან. დაღლილი, მძინარე თავი ქინდვრით ენარცხება შაშხანის სასხლეტს და შუბლზე კოპი იზრდება. მაშინ ჯარისკაცი უბრუნდება გარემოს წუთიერად, ცალკევდება მთლიანი ყოფიდან, სადაც ყველაფერი ერთადაა: წვიმა, ღამე და მტერი მოპირდაპირე მთაგრეხილზე. წუთიერი სიფხიზლისას მის ირგვლივ ყველაფერი სხვაა. ჯარისკაცი ცდილობს, გონება დაძაბოს, განცალკევდეს იმ პიტალო არარაობისაგან. ფიქრობს, იხსენებს წარსულს, რომ გამოფხიზლდეს, მაგრამ წარსულზე ხსოვნა აღარ შერჩენია... ბნელით ჩახერგილი ხევიდან შეიძლება საფარს მტერი მოადგეს. კიდევ კარგი, რომ მოდის ოფიცრის ლანდი, ემუქრება და აფხიზლებს. მან იცის, რომ ყველაფერი ბეწვზე ჰკიდია. იგი უხეშად პასუხობს ოფიცერს. და ხელში ბღუჯავს 1887 წელს მოჭრილ ქვეითელის გრძელ შაშხანას. დროდადრო მტრის მთაგრეხილიდან მოისმის ტყვიამფრქვევის რაკუნი.

ჯარისკაცი დროდადრო იხედება წინ წყვდიადში. მტრისა და მათ მთაგრეხილს შუა ჩირგვნარმოდებული ველობებია, იქ მეჯოგეების მიტოვებული ქოხი დგას. რამდენი დღეა ამ ქოხისა და ერთმანეთის პირისპირ დგანან მტრები და ერთმანეთს უთვალთვალებენ, ბრძოლაში კი არ ებმებიან. კვლავ გაისმის ფეხის ხმა კლდოვან ნიადაგზე და ოფიცრის ლანდი საფართან შედგება.

— ჯარისკაცო, შენ გძინავს?!
— არა, არ მძინავს.
— შენ გეძინა?!
— არა, არა! — პასუხობს ჯარისკაცი და უტყუარად იცქირება ბნელით ამოხერგილ ხევში, საიდანაც შეიძლება მტერი მოვიდეს. მოვა მტერი და ოფიცერიც კვლავ. ჯარისკაცი წამოჯდა საფარში მძიმედ, თითქოს მაჯლაჯუნას თავი დააღწიაო, ძლივძლივობით აზიდა ტვირთადქცეული საკუთარი სხეული. ირგვლივ ამაოდ მიმოიხედა. მარცხნივ საფარში ხელის ტყვიამფრქვევით ორი ჯარისკაცია დაწყვილებული. დაუძახა მათ ხმადაბლა.

— ეეეე! — მივიდა, — გძინავთ? ერთმა მაინც იფხიზლოს. ოფიცერი დადის. ჩემთან ორჯერ იყო. კიდევ მოვა. ძილი აკრძალულია.

— ჰოოო, ძილი აკრძალულია, — უპასუხეს მეტყვიამფრქვეველებმა. ჯარისკაცი ჩაცუცქდა, თქვა:

— წეკოს მოვწევდი.

— ამ ამინდში... აბედი დამსველებია.

— რომც არ დაგსველებოდა, წინახაზზე მოწევა აკრძალულია, — იუარა მეორე მეტყვიამფრქვეველმ.

— რატომ, მუჭში მოვწევდი, — თქვა და შეესმა ფეხის ხმა კლდოვან ნიადაგზე. ოფიცრის ლანდი საფარში დაწვდა ჯარისკაცის მიტოვებულ შაშხანას.

— სადა ხარ, ჯარისკაცო?!

— მომეცი შაშხანა!

— დადექ ადგილზე! — უბრძანა ოფიცერმა. შაშხანა შემართა. — ათისთავო, მოდი აქ, ათისთავო! ესროლე! — უბრძანა და შაშხანა გაუწოდა.

— მომეცი შაშხანა, — აღმოხდა ჯარისკაცს, თვალი ბნელით ავსილი ხრამისკენ გაექცა, შედრკა, ასისთავმა მას დაუმიზნა 1887 წელს მოჭრილი ქვეითელის გრძელი შაშხანა. ლულა ქანაობს, სცილდება მის სამიზნე სხეულს, კვლავ უახლოვდება, ისევ განზე მიდის. დადის შაშხანის ლულა პირისახეზე უამური შეხებით, დადის აღმა-დაღმა და აქეთ-იქით, თითქოს ობობას მწებავ ქსელს ქსოვს. ჯარისკაცი ვერ გრძნობს შიშს, მისთვის სულ ერთია კვდომა და არსებობა. იგი ხვდება, რომ წესდების მიხედვით ის „უკანასკნელი ტყვია“ შაშხანას პირში აქვს მიცემული და ათისთავმა უნდა ესროლოს. სიკვდილის მოლოდინი ვერ აფხიზლებს ძილღვიძილიდან. შაშხანის ლულა კვლავ დადის პირისახეზე, იგი ხელის დუნედ აქნევით თითქოს იშორებს ობობას უამურ ქსელს. ჯარისკაცმა იცის, რომ სიკვდილი არ ვარგა, ვერ განიცდის სიკვდილის საშინელებას. არა აქვს წინააღმდეგობის გაწევის უნარი, ძალა, არც მერმისზე ზრუნვა ძალუძს, რომ თავი გადინარჩუნოს. იცის, რომ დგას არსებობისა და არარსებობის მიჯნაზე, ამ კლდოვან ნიადაგზე, ღამეში და წვიმაში ოფიცერსა და ათისთავის წინაშე, სიკვდილისა და სიცოცხლის ზღვარზე. მას მაწამებლად იპყრობს სურვილი, რომ მალე მორჩეს, დასრულდეს ყველაფერი. ამ დროს მხსნელად ევლინება შაშხანის ლულა მისკენ მიმართული. ლულა კვლავ ქანაობს, მაშინ იგი თვითონ უსწორდება და ემიზნება, შველის ათისთავს. მისი მთელი არსება ოფიცრისა და ათისთავის მხარეს დგება. იცის, რომ სიკვდილი არ ვარგა. გონების თვალით ვერ ხედავს მისი მთელი არსების მოლალატურ მოქმედებას და იგი დახვრეტის დროსაც ოფიცრისა და ათისთავის ერთგულ ჯარისკაცად რჩება. დროდადრო თვალთმაქცობს, ცდილობს ოფიცრისა და ათისთავის მოტყუებას, ცდილობს მათ ტირილით თავი შეაბრალოს, მაგრამ ვერ ახერხებს.

ვერ აბრალებს თავს სიკვდილსა და ოფიცერს.

შაშხანის ლულა კვლავ დადის ჯარისკაცის პირისახეზე, ქსოვს ობობას მწებავ ქსელს, რომელსაც ხელის დუნე აქნევით წყვეტს, იშორებს. რაღაც განყენებული სიტყვები აეკვიატა, რომელთაც არავითარი საერთო არა აქვთ სიკვდილთან და ოფიცერთან, ეს სიტყვები თითქოს სხვამ შემოჩარა მეხსიერებაში. იგი ჩურჩულით ამბობს:

— აბრაკადაბრა... კოსტა-რიკა!

— არ ძალმიძს, ვერ ვესვრი! — გაიძახის ათეულის მეთაური და შაშხანა ხელიდან უვარდება.

1985 წ.

თანამედროვეობის გენიალური ეჭვიანი

ასე აფასებდა სოლომონ გერშოვს სახელგანთქმული ქართველი მხატვარი ლადო გუდიაშვილი, „ს. გერშოვი უდიდესი ნიჭის მხატვარი, ოსტატი, მოგვი და ჯადოქარია“, — აღნიშნავდა ლენინგრადის „ერმიტაჟის“ დირექტორი, აკადემიკოსი ბორის პიოტროვსკი.

ს. გერშოვი დაიბადა 1906 წელს დაუგავპილსში (ლატვია). სწავლობდა ვიტებსკში ი. პენის, მ. შაგალის, რ. ფალკის სამხატვრო სახელოსნოებში, ლენინგრადში „მხატვართა წახალისების საზოგადოებაში“ ე. ებერლინგთან და „ფერწერის კულტურის“ ინსტიტუტში კ. მალევიჩის ხელმძღვანელობით. აქტიურად მოღვაწეობდა პ. ფილონოვის მიერ ჩამოყალიბებულ „ანალიტიკური ხელოვნების“ ჯგუფში. მხატვრის აღიარებით, მათთან ერთად უდიდეს სკოლას მისთვის გარემომცველი სამყარო და მსოფლიო ფერწერის შედევრები წარმოადგენდნენ: „ყველაზე ახლოს იყო ჩემთვის უძველესი რუსული და ქართული ფრესკები, მიქელანჯელოს, რემბრანტის, ვრუბელის სურათები“.

ს. გერშოვი სამყაროზე, სიცოცხლეზე შეყვარებული ჰუმანისტია (სიყვარულის მძაფრი განცდა მას ხანგრძლივი სიცოცხლის ბოლომდე არ განელებია), პოლიფონიური მუსიკისათვის დამახასიათებელი ყღერადობით ფერწერაში. იგი მართალი, ფაქიზი, დახვეწილი, სევდანარევი განწყობილების მხატვარია. მისი ფუნჯი თუ კალამი ტილოსა და ქაღალდზე ლაღია. როგორც მარკ შაგალი ამბობდა თავის მოწაფეზე — „გერშოვი გულწრფელად ეძებს სიმართლეს ხელოვნებაში და ესაა მთავარი და მნიშვნელოვანი“.

ს. გერშოვის მხატვრული სამყარო მრავალფეროვანია: ბიბლიური, ისტორიული, ებრაული, ქართული თემები, ისტორიულ პირთა თუ თანამედროვეთა პორტრეტები, პეიზაჟები, ნატურმორტები, თანამედროვე მოვლენები, თავისუფალი კომპოზიციები, შალომ ალეიხემის, პერეცის, ბაბელის და სიკვდილის წინ ბიბლიის დასურათება... მისი შემოქმედებიდან აღსანიშნავია: „მეფე სოლომონი და სულამითი“, „ესთერი“, „რემბრანტი ანგელოზით“, „ბეთჰოვენი“, „მიქელანჯელო სახელოსნოში“, „მარკ შაგალი“, „ნიკო ფიროსმანაშვილი“, „ცოდვების მონანიება“, „მსხვერპლშეწირვა“, „კადიში“, „საიდუმლო სერობა“, „ლოცვა“, „ფიქრი“, „სულის ძახილი“, „რექვიემი“ და სხვა.

უმძიმესია ს. გერშოვის ცხოვრების გზა: რუსეთის რევოლუციები, ანტისემიტიზმი, სიდუხჭირე, „სოცრეალიზმის“ წნები, გადასახლებები, მეორე მსოფლიო ომი, დაუფასებლობა (დღემდე არაა გამოცემული ალბომი თუ მონოგრაფია მხატვრის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ).

60-70-იანი წლებიდან მოჯადოებული წრე ოდნავ იხსნება — მისი გამოფენები ეწყობა საბჭოთა კავშირში, ევროპასა და ამერიკაში. მის შესახებ იწყებენ წერას, როგორც „მსოფლიო მასშტაბის“ ხელოვანზე (მხატვრის შემოქმედების შესახებ უახლესი პუბლიკაცია იხ. თანამედროვე ისრაელის ხელოვნებისა და ლიტერატურის ჟურნალში — „არიელი იერუსალიმი, № 6, 1991). რა ხშირად ხდება ასე მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში — ს. გერშოვის ნახატები სიმბოლურ თანხად ფასდებოდა ხოლმე, ახლა კი, პარიზის 1989 წლის სამხატვრო აუქციონზე, ათიათასობით ფრანკად... ისე კი, როგორც წესი, მხატვარი თავის ნამუშევრებს უმეტესწილად ჩუქნიდა ყველას, ნაცნობ-მეგობრებს, უცნობსაც, თუკი სიკეთეს დაინახავდა მასში, თავისი ბავშვურად მოციმციმე დაკვირვებული თვალებით, ჩუქნიდა, როგორც ყვავილთა თაიგულს...

განსაკუთრებულია ს. გერშოვის დამოკიდებულება საქართველოსთან, მის კულტურასთან. ახლოს იცნობდა და უყვარდა მისი ბუნება, ხალხი. სილამაზის ტრფიალ მხატვარს განსაკუთრებით ახალგაზრდობა აღფრთოვანებდა, შუა საუკუნეების ქართული ტაძრების ფრესკებიდან (ისინი მსოფლიო ხელოვნების განძად მიაჩნდა) გადმოსულებად აღიქვამდა. განსწავლულმა მხატვარმა კარგად იცოდა ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორია. 70-იანსა და 80-იანი წლების დასაწყისში იგი თვეობით ცხოვრობდა საქართველოში — გარს მუდამ მეგობართა და თაყვანისმცემელთა წრე ერტყა — მხატვრები, ხელოვნებისმცოდნენი, მწერლები, რომელთა შორის უპირველესი, ცნობილი ქართველი მწერალი ლევან გოთუა იყო. მასთან ერთად წლები გაატარა მხატვარმა გადასახლებაში — შორეულ ჩრდილოეთში, ვორკუტის შახტებში და რომელსაც თავისი და მრავალი სხვა პატიმრის გადამრჩენელად რაცხდა. აქ, საქართველოში, მოეწყო ს. გერშოვის პერსონალური გამოფენები (1974, 1979, 1985, 1987, 1990 წ.წ.), რომლებმაც დიდად დააინტერესა ხელოვნების მრავალრიცხოვანი მოყვარული.

საქართველომ კიდევ უფრო განავრცო მხატვრის შემოქმედებითი სამანი, ახალი სიმძაფრე და შემოქმედებითი იმპულსი მისცა მის უშრეტ შინაგან სამყაროს. ამისივე დასტურია ს. გერშოვის ნამუშევრების ყველაზე დიდი კოლექციების არსებობა საქართველოში: ხელოვნების ეროვნულ მუზეუმებში, ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმში, საქართველოს თეატრის, მუსიკის და კინოს სახელმწიფო მუზეუმსა და კერძო პირებთან. თბილისი ფაქტიურად თანამედროვეობის უდიდესი მხატვრის შემოქმედების განძთსაცავია. გამიზნულია, აქვე შეიქმნას ს. გერშოვის შემოქმედების კერძო მუზეუმი.

„რუსეთი ჩემი ხვედრია, ოცნება კი ისრაელი“-ო, ამბობდა იგი.

მხატვრის სანუკვარი ოცნება იყო ისტორიულ სამშობლოში, ერეც-ისრაელში თავისი ნამუშევრების გამოფენის მოწყობა.

ს. გერშოვი გარდაიცვალა 1989 წლის 14 ივნისს. დასაფლავებულია სანკტ-პეტერბურგში. მის საფლავზე დაიდგმება მემორიალური ძეგლი, ცნობილი ქართველი მოქანდაკის მერაბ ბერძენიშვილის (რომელთანაც მეგობრობდა) პროექტით. ეს იქნება მხატვრის ანდერძის აღსრულება.

სამწუხაროდ, ს. გერშოვს შთამომავლობა არ დარჩენია, მაგრამ დატოვა ბრწყინვალე შემოქმედება, რომელიც ეკუთვნის მის ერს და მთელ მსოფლიოს.

გივი ღამბაშიძე,
ალექსანდრე ჩხეიძე.

სოლომონ გერშოვი



ლულუ დადიანის შემოქმედებითი დიაპაზონი მეტად დიდი და მრავალფეროვანია. მხატვრის ბიჭ წარმოდგენილი ნაკვთა სიმკაცრე, მრავალი პეიზაჟი, პორტრეტი თუ ნატურმორტი მეტად ორიგინალური და განორჩეული ხერხებითაა გადმოცემული. წარმოდგენილ კომპოზიციებში ნათლად ჩანს მხატვრის სერიოზული დამოკიდებულება ფერმასთან, მისი დახვეწილი გემოვნება.

სწორედ ამაზე მეტყველებს მისი შემოქმედების ამსახველი ეს მრავალფეროვანი გამოფენები, რომელიც აუცილებელ მიეწყო ჩვენს რესპუბლიკასა თუ მის ფარგლებს გარეთ.

ლულუ დადიანი

ლულუ დადიანის ნამუშევრებს გაეცნენ ბელგარეთის, პოლონეთის, გერმანიის, საფრანგეთის, იაპონიის, ფინეთის, კანადის, ზვეციის და ნორვეგიის ქვეყნების ხელოვნების თაყვანისმცემლები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ბოლო წლების წარმატებები. მარტო ამ წელს ორჯერ მიეწყო ლულუ დადიანის პერსონალური გამოფენა შტუტგარტსა და საარბრიუკენში. მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ხუთი მხატვრის გამოფენაში, რომელიც ნორვეგიაში შედგა.

ნაკლები შემოქმედი მიღწეულია რიგი კმაყოფილდება. ეძებს ახალ-ახალ გზებს საოცარის უკეთ გადმოსაცემად.

აქ წარმოდგენილი ნამუშევრები, ყველაზე წარმოდგენას შეგვაქმნის ლულუ დადიანის ამ მეტად საინტერესო და თვითმყოფადი მხატვრის შემოქმედებაზე.

ახალი სახელები

ევა აბულაძე

ფეხვიგაკოცხლებული სოფელი





მედეა შადური,
ალექსანდრე კასრაძე

...მიწა, მიწის მადლი... მიწის სიყვარული...

ქართველი კაცი რომ მიწას ახსენებდა, ხშირად დედა-მიწას, დედასამყაროსაც გულისხმობდა; დედის სიყვარული ხომ მუცლიდანვე თან დაჰყვება ყველას... მიწა იყო ქართველისთვის ყველაფერი, ან კი სხვა რა უნდა ეგრძნო ადამიანს — ბუნებასთან განუყოფელს და მის კალთაში გამოზრდილს...

ხნიერი ხალხი ახლაც იტყვის ხოლმე სოფლად: ჯობია კაცს ორივე ხელი მოაჭრა, ვიდრე საკუთარ მიწას მოსწყვიტოო.

ჩვენ კი რა გვახსოვს, მაგრამ ის კი ცხადზე უცხადესია, რომ აქამდე მოღწეული ქართული სული, ცეკვები, სიმღერები, საუკეთესო ტრადიციები ისევ და ისევ სოფელმა შემოგვინახა; რამაც საუკუნეებს გაუძლო და რაც ასე ძვირფასია ჩვენთვის, ისევ და ისევ ხალხურობის სულით მძლავრობს, ხალხურობით სულდგმულობს.

მართლაც, განუმეორებელი მადლი აქვს სოფელს.

იქ გატარებული დღეების გახსენება ყოველთვის ბავშვობასთან გვაბრუნებს, ოქროსფერ, გაუხუნარ ფურცლებად რომ შემორჩა დღევანდელობას. სოფელში თითქოს ყველაფერი სუფთა იყო, ლაღი და ხალასი. სუნითაც თავისებური, მზითაც, ბუნებითაც. პაპა მიამბობდა, როგორ მოივლიდნენ ხოლმე მეზობელ სოფლებს ცხენებით, შორ მანძილზეც ცხენით სარგებლობდნენ. ახლა იშვიათად, დღესასწაულებზეღა თუ შეხვდებით მოჯირითეებს.

ნელ-ნელა, დღითიდღე იჭრებოდა ქალაქის ცივილიზაცია სოფლად. ზოგიერთი სოფელი კი სულაც დაცარიელდა და ქალაქს შემოეხიზნა. რამდენი ჩემი თანატოლისგან მიგრძვნია, როგორ ეთაკილებათ „სოფ-

ლელობა“, თითქოს ქალაქში დაბადება ან კიდევ რუსთაველის პროსპექტზე საკუთარი მანქანით გავლა რაიმეს მატებდეს თითოეულს.

„არ დაგავიწყდეს, ვისი გორისა ხარ“, — თეთრწვერა ხევისბერის ფოლადნარევი ხმა ჰაერს შეჰყინვია. დღეს უკან აღარავინ იხედება.

... გაუკაცრიელებული ეზოები, მიტოვებული სახლები... ზაფხულია და თითქოს სცივა ამ სიმარტოვის მაცქერალს... ნუთუ მტერი შეესიათ და ტყეს შეხიზნულან? არა! ქართველ კაცს ურდოთა შემოსევის დროსაც კი ასე უღვთოდ არასოდეს მიუტოვებია მშობლიური სახლ-კარი. ეს „ქალაქს“ წასულთა სოფელია... მძიმე სანახავია ნასოფლარები, იმედის თვალებით რომ გასცქერიან გაუდაბურებულ გზას. ვინ იცის, იქნებ...

ესეც არ ვაკმარეთ მარჩენალ დედა-ბუნებას. სადაც ხელი მიგვიწვდება, მოურჩენელ იარასავით ვამჩნევთ ჩვენს ნაკვალევს. ხომ ვთხარეთ და გადავთხარეთ მიწა, მთებში გაზის გაყვანა მოვინდომეთ და ეს ამაყი, გოროზი სილამაზე კაბაშემოფლეთილ პატარძლებს დავამსგავსეთ; ვხოცეთ ნადირ-ფრინველი, ვჩეხეთ ხე-ტყე და ახლა გავყვირივართ, არიქა, წითელ წიგნში შევიტანოთ, თორემ თითო-ოროლა ჯიშიღა დაგვრჩენიაო (ვითომც ეს რამეს შველოდეს), ზოგიერთი კი სულაც გადაშენებულა. ვინმეს თუ გაახსენდა „ტყე შეუნახე შვილებსა, მამა ხარ, შენი ვალია“, — არავის.

„ჩემს შემდეგ ქვა ქვაზეც დადუღებულაო“, — უთქვამს ღვთისპირიდან გავარდნილ კაცს. არ დავინდეთ ბუნება და არც ჩვენ დაგვინდო: დაიმეწყრა ულამაზესი ქართული სოფლები, მოვარდნილმა სტიქიამ ათობით ადამიანთა სიცოცხლე შეიწირა.

დამახინჯდა ადამიანის ცხოვრების აზრი, არსი. სიკეთე და უანგარობა იშვიათ სულიერ ფასეულებად გადაიქცა. ჩვენი უსიყვარულობით მიწას მადლი დავაკარგვინეთ, რძეგამშრალ დედას დავამგვანეთ, მშიერი შვილები რომ უღნავიან გულისგამაწვრილებლად. იმდენად შევეჩვიეთ უსიყვარულოდ არსებობას, რომ ველარც კი ვგრძნობთ, თუმცა იქნებ არც კი დავფიქრებულვართ ოდესმე — ვინა ვართ, რანი ვართ, საიდან მოვდივართ და საით მივდივართ... სიყვარულის სიყვარული დავივიწყეთ.

მახსოვს, ბავშვობაში მამა-პაპის ხსენებაზე მაშინვე ჩოხაახალუხიანი, თეთრწვერა და ყალიონიანი მოხუცები წარმომიდგებოდნენ თვალწინ.

... მამა-პაპური... ეს სიტყვები ხომ საუკუნეების, ათასწლეულების მომცველია... გარდასულ დღეთა ხსოვნაა... მოდის, მოგრგვინავს, ვინ იცის, საიდან, როდიდან და განა ასე ხელაღებით შეიძლება მისი განადგურება?! სწორედ მამა-პაპამ შემოგვინახა ის ქართული ფესვები, დღეს რომ ჩვენივე უზრუნველობით ამოძირკვის პირამდეა მისული და ნუთუ ჩვენ ყოველივე ამის შემდეგ რაიმე ძვირფასს დავუტოვებთ შვილებს, ან კი ღირსეული წინაპრები ვიქნებით მომავალ თაობათათვის?!

... ბუნებასთან ჰარმონიაში თანაარსებობის დაკარგვამ საკუთარი სახეც კი დააკარგვინა ადამიანს. კაცი აღარ კაცობს და ქალი აღარ ქალობს. ცივილიზაციის ბრმად მიღებამ თითქმის უმტკივნეულოდ მოგვწყვიტა ურთიერთს, სისხლით და ხორცით ნათესავები. პატარები დედის ნანაზე და ბაბუის ზღაპრებზე აღარ იზრდებიან. ადამიანმა დაკარგა რწმენა, რწმენის დაკარგვამ კი სიკეთის არსებობაც დაავიწყეთ.

კაცი რომ დანაშაულს ჩაიდენდა, მთელი გვარის, სოფლის წინაშე აგებდა პასუხს. პაპისაგან გამიგონია, ადრე ასე ბრმად, როგორც დღეს, იარაღს არავინ იყენებდაო... მოყვასის სიყვარული — აი ვაუკაცობად რა ითვლებოდა... მჯობნის მჯობნი არ გვაკლდა, მაგრამ ურთიერთს მტრად არასოდეს გადავკიდებივართო. განუკითხაობამ უღირსობა ღირსებად აქცია და ადამიანმა ეს პატივად მიიღო, პასუხისმგებლობა ზედმეტ ტვირთად მიიჩნია და ხელისკვრითაც კი მოიშორა, ასე უფრო თავისუფლად ვგრძნობ თავსო.

... მაგრამ, მადლი ღმერთს, გამოჩნდებიან ხოლმე ღვთისნიერი ადამიანები, მამა-პაპათა ხსოვნით სულგამთბარნი, ჭეშმარიტებისაკენ რომ გვიხმობენ.

ჭეშმარიტება უბრალოებაშიაო, — ხშირად იმეორებს ხოლმე ბატონი შალვა და მისი საუბრის მოსმენა უკვე საკმარისია, რომ მიხვდეთ: სხვანაირად არც შეიძლება იყოს.

შალვა შიოს ძე კაჭარავა — მხატვარ-დიზაინერი, მამაპაპურ ტრადიციებზე დაყრდნობით შემუშავებული სოფელ „სამოთხის“ — წრიული სოფლის იდეა-პროექტის ავტორი...

— ჩემი მიზანი ერთია, — ამბობს ბატონი შალვა, — ჩემი ადგილ-სამყოფელი კი არ დავიჩემო, არამედ გავიშენო (შენად ვხადო). მე როცა ვაშენებ, შენად ვხდი და თუ დაინახე და იწამე, რომ ჩემს შენობას შენთვის ვაშენებ, ასეთ მოწამეს არც გაქვს უფალ-ნება (უფლის ნება) არ მომეხმარო და არ მაშენებინო საშენებელი ყოველი.

... ქართული სოფლების აღდგენა-აღორძინება, დაკარგულ ფესვებთან დაბრუნება და, რაც ყველაზე მთავარია, სამუდამო ხსოვნის დატოვება, რაც არასოდეს მისცემს დავიწყებას, თუ ვინა ვართ, საიდან მოვდივართ და საით მივდივართ.

უსმენ შალვა კაჭარავას და სიხარულით ხვდები, რომ ეს ყველაფერი შენიც არის, მხოლოდ დიდი ხნის მივიწყებული, ახლა კი გაცოცხლებული, ამ სიცოცხლით ძალამიცემული და იმდენად ახლობელი და ტკივილამდე საყვარელი, რომ მთელი ხმით გინდა იყვირო — ეს ხომ ჩვენა ვართ, ჩვენ, ეს პროექტი გვაბრუნებს ყოველივე საწყისთან, შემოქმედთან, დედა-ბუნებასთან.

ქართული ფესვებგაცოცხლებული სოფელი ერის სიჯანსაღის საფუძველია. დღევანდელობა კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ტრადიციების და სოფლის მოშლამ არაერთ უკეთურობას შეუწყო ხელი. ისევ ჩვენ უნდა ვუშველოთ საკუთარ თავს.

— რაც ქალია, ის იერია, რაც იერია, ის ერია და რაც ერი — ისი ბერიო, — ამ სიტყვებით ბატონი შალვა კიდევ ერთხელ გვახსენებს, თუ რამდენი რამაა დამოკიდებული ქალზე და სწორედ ქალს ეკისრება ის უდიდესი როლი, რასაც დედობა ჰქვია. თვით დედის სახელითაა მონათლული დედაენა, დედაბოძი, დედამიწა და დედა სამყაროც კი.

ბატონი შალვა ხშირად იმეორებს: — ღმერთი ჩვენშიაო... იქნებ უკვე დროა, ვიპოვოთ ეს ღმერთი ჩვენში და ერთხელ და სამუდამოდ გავახილოთ თვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაყაჩოს ველი

ილია რურუა

მოთხრობა

პატარა წერილმა, საღამოს გაზეთში შემთხვევით რომ წააწყდა, რატი უჩვეულოდ ააფორიაქა. მძიმე დანაკარგის გრძნობამ, ბავშვობაში გაუცნობიერებლად რომ განიცადა და შემდეგ მთელი ცხოვრების მანძილზე დაუამებელ ტკივილად მოსდევდა, გულში ახალი ძალით იფეთქა. არადა ოდესღაც დატრიალებული განუკითხაობით დაღუპული მამის ხვედრს, სხვათა მრავალთა მსგავსად, თითქოს შეგუებული იყო. საზოგადოებაში ხანგრძლივი წლების მანძილზე რაღაც მანქანებით დანგრეული აზრი იმდენად შეუვალი ჩანდა, ზოგჯერ უფიქრია კიდეც: რას გაიგებ კაცისას. იქნებ მართლაც მიუძღოდა რაიმე დანაშაული. მაგრამ საკმარისი იყო უსასოო დარდით აღსავსე დედის თვალების მზერას წააწყდომოდა, რომ მაშინვე რაღაცნაირი სინდისის ქეჯნა უჩნდებოდა და უნებურად გაღვიძებული ეჭვიდან აღარაფერი რჩებოდა.

რატის მამა იმდენად ბუნდოვნად ახსოვდა, ამას ხსოვნას ვერც დაარქმევდით. ძვირფასი სახე მის წარმოდგენაში ცოცხლდებოდა სამალავში ხანგრძლივი ყოფნით ფერგადასული ერთადერთი ფოტოსურათისა და ახლობელთა წრეში მასზე მოსმენილი მოგონებების მიხედვით, რაც ჩვეულებრივ მთავრდებოდა დაობლებული ბიჭის მკერდში ჩახუტებითა და ცრემლიანი ამოოხვრით — გამოსახული მამამისიაო. ამის გაგონებაზე დედას ჯერაც ლამაზ სახეზე ნაღვლიანი ღიმილი მოეფინებოდა და თვალებშიც სიხარულის სხივი აუკიაფდებოდა. ამის დანახვა რატის ყოველთვის სიამოვნებას ჰგვრიდა.

სიჭაბუკის ასაკში შესულმა, ერთ მშვენიერ დღეს, ისიც აღმოაჩინა, რომ მთელ მის არსებას დაუფლებოდა მოუგერიებელი წადილი: ყველაფრით დამსგავსებოდა მამას, თავისი საქციელით რაიმე ჩრდილი არ მიეყენებინა წარმოსახვაში დავანებული მისი ხატისათვის. მამის ცოცხალ ორეულად რატის გასრულებას საჩინოდ ადასტურებდა არამარტო სახის ნაკვთების წყობა და მსგავსება, უზადო ტანასხმულობა, არამედ სულიერობით მადლცხებული ხიბლიც, ადამიანებთან დარდიმანდულად ლალი, კეთილი და გულგახსნილი ურთიერთობის უნარი. ალბათ ამიტომაც არ მოჰკლებია არასოდეს, შინ თუ გარეთ, გულითადი მეგობრები და პატივისმცემლები... ამავე ღირსებებმა თუ იხსნა დათრგუნვალობისა და გაბოროტებისაგან, გამრუდებულ გზაზე დაშვებისაგან, რაც, სამწუხაროდ, თავიდან ვერ აიცილა ზოგიერთმა მისმა ბედის მოზიარემ.

უკვე სამოცი წლის მიჯნას მიაღწია, გარშემო ბევრი რამ არსებითად შეიცვალა და გადაფასდა, მაგრამ რატის მიმართ ნაცნობ-მეგობრებს გული არ გაცივებიათ; არც ყავლგასულ კაცად ჩაუთვლია ვინმეს, რომ სადღაც ცხოვრების კუნჭულში მიეგდოთ და ყველა მედროვე ძაღლმამაძაღლს, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ზედ გადაევლო. იქნებ ამიტომაც ამბობდნენ რატიზე — მაინც ბედნიერ ვარსკვლავზე ყოფილა დაბადებულიო, თუმცა მან კარგად უწყოდა, რომ თუ რამ ღირებული გააჩნდა, მის არსებაში მამის სულიდან იყო გადმოღვრილი.

ალბათ ამის დადასტურება იყო ისიც, გაზეთში წაკითხულმა ასე რომ შეძრა. მამის რეაბილიტაციის ქაღალდს, სამოციანი წლების ბოლოს ოჯახს რომ მიუვიდა, არსებითი სულიერი შვება არ მოუტანია. პირიქით, უფრო გაამძაფრა უაზროდ განწირული მსხვერპლის დაკარგვის აუნაზღაურებლობის ტკივილი. ერთადერთი შვება ის იყო, რომ მიეცათ რაღაცის გაკითხვა-გამოკითხვისა და ვარაუდების ხმამაღლა გამოთქმის შესაძლებლობა. ამ ვარაუდთაგან განსაკუთრებით ზარავდათ მოარული გადმოცემა სასიკვდილო აგონიაში ჩავარდნილ პატიმარზე, რომელიც ციმბირის თოვლიან უდაბნოში ღამით მომავალი მატარებლის ვაგონიდან გადაუგდიათ სადღაც. ო, როგორ არ უნდოდა რატის, რომ დამშეული მგლების დასაფლეთად გამეტებული, უსაფლაოდ გამქრალი ის უბედური კაცი მამამისი ყოფილიყო. ამიტომაც არ მორიდებია დაჟინებული თხოვნით აეკლო ერთი ფრიად დახურულ-დასაიდუმლოებული დაწესებულება, მაგრამ ზუსტი და ამომწურავი პასუხი მაინც ვერ მიიღო. მხოლოდ ერთ რამეში დაარწმუნეს თითქოს: მამაშენის კვალი აქ, თბილისში იკარგებაო.

და აი ის წერილი მარნეულისაკენ მიმავალი გზისპირა სამშენებლო პოლიგონზე ესკავატორის ციცხვით შეშფოთებულ ადამიანთა ძვლების შესახებ... პირველი, რაც რატიმ გააკეთა ის იყო, რომ იზრუნა დედამისს არაფერი გაეგო, გაზეთი გადამალა და მეუღლეც გააფრთხილა: ღმერთი არ გაგიწყრეს, არაფერი წამოგცდესო. ისიც ესმოდა, ამით ერთგვარ უსამართლობასაც რომ სჩადიოდა იმ ადამიანის წინაშე, ვისაც ყველაზე მეტი უფლება ჰქონდა პირველს მოეყარა მუხლები გოლგოთაზე და ცრემლით დაელბო მეუღლისად დაგულვებული საფლავი. მაგრამ შვილიც ყელამდე მართალი იყო... მისთვის ყველაზე ძვირფასი არსების სიცოცხლეს უნდა გაფრთხილებოდა...

რატიმ ადვილად დააზუსტა ადგილმდებარეობა იმ სამშენებლო მოედნისა, სადაც გაზეთში აღწერილი შემთხვევა მოხდა და რომლის შედეგადაც იქ საცხოვრებელი კორპუსის აღმართვა დაუყოვნებლივ შეუჩერებიათ. ამიტომაც მეგზურად თან არავინ გაუყოლებია. დღის ბოლოს სამსახურიდან გამოსული, მანქანაში ჩაჯდა და შოფერს მოკლედ უთხრა — მარნეულისაკენ მივდივართო. გზად ბაზარში შეიარა, ყვავილების სავაჭრო სკვერში სათნო სახიანი ვიღაც მოხუცის მიერ ახალმოტანილ ცინცხალი მიხაკის დიდ კონას დაადგა თვალი, რამდენი ცალიაო ჰკითხა და შეუვაჭრებლად ასმანეთიანი კუპიური დაუგდო დახლზე...

კრწანისის კართან აღმართული ძველი საპატიმროსათვის რომ არ შეეხედა, სავარძლის საზურგეზე გადაწვა და თვალები დახუჭა. მაგრამ გახურებულ ასფალტზე გასრიალებული „ვოლგის“ საბურავების ში-

შინში მოძალებულმა ფიქრებმა თანდათან სახიერება შეიძინა, ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს რკინის მძიმე ჭიშკრიდან ღამის სიბნელეში ქურდულად გამოსულ, დასახვრეტად გამეტებული პატიმრებით ძარაგაძეძგილ, თოფმომარჯვებული ბადრაგით გარშემორტყმულ მანქანას ჩადგომოდა კვალში... ტანში გააზრინა, მკერდში მწვავე ტკივილმა გაჰკრა, მაგრამ გულიდან ვერ ამოიგდო იმის სურვილი, ქვეცნობიერად ალღოს მინდობილი, ბოლომდე გაჰყოლოდა წაშლილ ნაკვალევს, რომელიც უთუოდ ამ გზით მიემართებოდა. თითქოს ნათელხილვის ნიჭი მოჰმადლებოდეს, თვალებდახუჭულიც ცხადად, ზუსტი თანმიმდევრობით ხედავდა კარგად ნაცნობი გზატკეცილის ორივე მხარეზე ჩარიგებულ შენობა-ნაგებობებს, ხეებსა და ბუჩქებს. თვალი მხოლოდ რუსთავ-მარნეულის გზაგასაყართან გაახილა და შოფერს შეახსენა — მარჯვნივ დაიჭირეო.

საკმაოდ გრძელი აღმართი როგორც კი აიარეს, ხელმარცხნივ ერთბაშად გაიხსნა ქვედა ქართლის სივრცეები. ლურჯ ნისლოვანებაში გაძრული ჩამავალი მზის სხივები იდუმალი ლივლივით აჩენდნენ ყანების, ბაღ-ვენახებისა და ბოსტნების ფერადოვან ლაქებს, გზა-ბილიკების გასწვრივ ჩარიგებულ ხეებსა და არხების მოკრიალე ძარღვებს... მალე ქვაბულის სიღრმიდან თავი ამოყო ახალი საცხოვრებელი მასივის რამდენიმე, ერთმანეთზე მოჭუჭკულმა კორპუსმა და მანქანაც გააჩერეს. რატომ „ვოლგას“ წინა მხრიდან შემოუარა და შოფერს უთხრა, შეგიძლია მარნეულისაკენ გაისეირნო, ოღონდ ერთ საათში აქ იყავიო. შოფერმა გაკვირვებით შეხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს და მანქანა უხალისოდ ადგილიდან დაძრა.

მხატვარი თენგიზ სამსონაძე

მარტოდ დარჩენილი რატი ერთხანს ყურადღებით გადასცქეროდა მის წინ გადაშლილ დასახლებას, რომელიც უკაცრიელი ჩანდა. ბოლოს შენიშნა მთავარი ორიენტირიც: ესკავატორის ციცხვის ყბებით რამდენიმე მეტრის სიგრძეზე ამოხრული სასაძირკვლე ტრანშეები და ფერდობზე დაეშვა. რაც უფრო უახლოვდებოდა აშკარად მიტოვებულ, უკვე სანახევროდ გამხმარი ბელტებით ამოვსებულ ადგილს, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ სწორედ აქ უნდა მომხდარიყო ის შემზარავი აღმოჩენა. როგორც კი ფერდობი ჩაათავა, ფეხქვეშ იგრძნო ჯერაც დაუსახიჩრებელი, დიდი ხნიდან შეუშფოთებელი მსუყე მიწის სირბილე. ეტყობოდა, იგი სიცოცხლის გახარებისათვის იყო მოწოდებული. შედარებით ახლად გაშენებული ნარგავები საგრძნობლად გალაღებულიყვნენ, ბაღ-ბოსტანთა პატარ-პატარა ნაკვეთებისათვის ვერაფერი დაეკლო ზაფხულის უკვე ძალამოკრეფილ მცხუნვარებას.

თვალი ერთბაშად მოსტაცა კარგა დიდ მანძილზე ხავერდოვან მეწამულ ფარდაგად გაწოლილი ყაყაჩოების ბიბინმა. მხოლოდ იმან გააკვირვა, ამ ბაღ-ბოსტნების პატრონთ ესოდენ ნაყოფიერი ადგილისათვის ბარი რომ ისე აურიდებიათ, თითქოს პირი შეუკრავთო. რაღაცით საგულისხმოდ ენიშნა ეს და გალაღებულად ამოსისხინებული ყაყაჩოების უცნაურ ფიანდაზას ჩაჰყვა გვერდზე. ზოგან ყაყაჩოებს ისე ხშირად ამოეფეთქათ და ისე ჩამუქებულიყვნენ, გეგონებოდათ ნიადაგი დაკვეთილი სისხლითაა გაპოხილიო... გული ერთბაშად დაუმძიმდა და ნაბიჯებს აუჩქარა, მაგრამ ასეთი მუქწითელი ლაქები სხვაგანაც შენიშნა. მარცხენა მკლავმა წიწკნა დაუწყო და მხოლოდ ახლა გა-

ახსენდა მიხაკები, რომელთაც დაღლილი თითები ძლივს იმაგრებდნენ. ყვავილები მკერდზე მიიხუტა და კვლავ გზა განაგრძო, გადადგამდა ორ-სამ ნაბიჯს და გრძელტარიან ალისფერ მიხაკს ამ უცნაური ფიანდაზისკენ გადაიქნევდა. ხავერდოვანი გვირგვინით დამშვენებული ყაყაჩოები თითქოს გაოცებული თვალებით აშტერდებოდნენ მათ მკერდზე ნებივრად გაშოტილ სტუმარს, ისე იშმუშნებოდნენ, თითქოს ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ — ცოტა მივიწ-მოვიწიოთო. საღამოს გრილმა ნიავმაც რომ დაუბერა, სულაც ყელყელობას მოჰყვნენ: აცეკვებულ ტანს სიმებივით ჭიმავდნენ, თითქოს მიწიდან ამოძრომა მოსურვებიათო, შეფრიალებული გვირგვინის ფურცლებს შავხალიან მკერდზე გადაიფენდნენ და წამში დამცხრალნი, წითელი კაბის კალთებს კვლავ შეისწორებდნენ.

ელეგანტურ თეთრ კოსტუმში გამოწყობილ კაცს, რა თქმა უნდა, ყვავილების გულისთქმის გამოსაცნობად არ ეცალა. ერთად ერთი მიხაკით ხელში, ფიქრობდა სიცოცხლისა და სიკვდილის, ძალადობისა და კეთილი ნების ჭიდილზე, რომელსაც ეს მყუდრო, მივარდნილი ადგილიც თავის ორომტრიალში მოექცია. იგი დარდობდა ადამიანებზე, რომლებიც ძალით სახელწართმეულნი და უფლებააყრილნი, ტყვეით ჩანგრეული თავის ქალებით იწვნენ ამ მიწაში, უზრუნველად მოხასხასე წითელი ყაყაჩოების სუდარის ქვეშ და ტკიოდა, გასკდომამდე ტკიოდა გული მათი ხვედრის გამო... დანამდვილებით ისიც არ იცის, აქ განისვენებს თუ არა მამამისი და თუ მისი ძვლები ნამდვილად აქ არის ჩაყრილი, მაინც სად უნდა იყოს? იქნებ აქვე, ზედ მის ფეხებთან... იქნებ ცოტა მარჯვნივ ან მარცხნივ, იქნებ სულაც ყაყაჩოს ველის თავსა ან ბოლოში... როგორ აგრძნობინოს მშობლის ნატანჯ ძვლებს შვილური გულის სიყვარული და სითბო, რომ ფუჭი და გაცუდებული არ აღმოჩნდეს მისი ამაყი მარტოობა ღრმა, აურწყავი დარდისა და მწუხარების წინაშე?..

და რატომ არწივივით ფართოდ გაშალა მკლავები, მთელ სიგრძე სიგანეზე თვალით მოზომა ყაყაჩოების წითელი სუდარით დაფარული სამარე, ჯერ მუხლები მოიყარა მოწიწებით, შემდეგ კი ყაყაჩოებში პირჩაღმა ჩაწვა და მიწას მოგუდული ხმით ჩასძახა:

— ხომ აქ ხარ, მამა?!

საქართველოს
მეცნიერთა
ბიბლიოთეკა



უკეთესი ცხოვრება

ბრანა ცრნჩევიჩი

რა ხანია, თითქმის ყოველდღე, გაზეთები მიმტკიცებენ, რომ მე უკეთ ვიცხოვრებ. ეს ძალიან მახარებს. თუმცა გაზეთები ცოტათი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თარიღის განსაზღვრაში.

ერთნი ამტკიცებენ, რომ მე ხვალიდან ვიცხოვრებ უკეთ, მეორენი აცხადებენ, რომ ზეგიდან, მესამენი მიწინასწარმეტყველებენ, რომ ეს მოხდება რაღაც ერთი კვირის შემდეგ, მეოთხენი უფრო „დინჯად" იქცევიან და მხოლოდ ერთი წლის შემდეგ მპირდებიან საამურ ცხოვრებას. მთავარი მაინც ერთია: არც ერთ იმ მრავალ გაზეთთაგანს, რომელსაც მე ვკითხულობ, ეკვი არ ეპარება უკეთეს მერმისში.

თუმცა რა, აი, უკვე თითქმის გავიდა წელი და არაფერი შეცვლილა.

და უცებ, ერთხელ ღამით, თავში თითქოს რაღაც ჩამარტყესო, ერთმა აზრმა გამიელვა: დალახვროს ეშმაკმა, განა მე თვითონ რამე გამიკეთებია ჩემი ცხოვრების გასაუმჯობესებლად? არა მაქვს მანქანა, არც აგარაკი, და თქვენ წარმოიდგინეთ, არც მოტორიანი ნავი...

მაშინვე გავაღვიძე მეუღლე და ტკბილად ჩავჩურჩულე:

— ჩემო ძვირფასო, ხვალიდან ახალ ცხოვრებას ვიწყებთ! ვიყიდით ხახლს ზღვაზე.

— ოჰ, ეს შეხანიშნავია.

— ბიჭუნას ვუყიდი ველოსიპედს. ბავშვი არ იავადმყოფებს, სპორტს დაუმეგობრდება და გაკაჟდება.

ამ განცხადებამ მეუღლე იმდენად გაახარა, რომ მან ჩემთვის კოცნაც არ დაიშურა.

— ალარ ვნახო სუფრაზე კომბოსტო!

— ვეღარც ნახავ, — თქვა მან.

— მაცივარი ყოველთვის სავსე უნდა იყოს! ვერ ვიტან, სამსახურიდან რომ ვბრუნდები და გამგელებული ცარიელ მაცივარში ვფათურობ!

— ჩვენ რომ მაცივარი არა გვაქვს, — ცივი წყალი გადამახსა მეუღლემ.

— ეს წვრილმანია, ხვალვე ვიყიდი. კვირას კი მთელი ოჯახით პიკნიკზე წავალთ. საკეხთან მე დავჯდები, შენ გვერდით მოგისვამ, ვაჟი კი უკანა სავარძელზე დასკუპდება.

— მანქანასაც ვიყიდით?

— რა თქმა უნდა, რატომაც არ უნდა ვიყიდოთ. ვითომ რითი ვართ სხვებზე ნაკლები?!

— სწორია!

მან დაიჯერა, რომ მე მტკიცედ გადავწყვიტე ახალი ცხოვრების მოწყობა.

— ზაფხულში კი, როცა სიცხეები დაიწყება, მოტორიანი ნავით დუნაიზე გავისეირნებთ!

— მაგრამ ნავი...

— ვიყიდი, ჩემო სულიკო, ვიყიდით, — მოთმინებით ვეხსნი მე.

— ეს კი ბრწყინვალეა, — სახე გაებადრა მეუღლეს.

— ჩემო კარგო, ხომ უაზრობაა უქმე დღეების ისე გატარება, როგორც აქამდე ვატარებდით.

მზე და ზღვა, მხოლოდ მზე და ზღვა, ასე ვიცხოვრებთ დღეიდან!

სიხარულით აცახცახებული მეუღლე მჭიდროდ მოეკრო და ბავშვის ფართოდ გახელილი თვალებით მიყურებდა, რომელსაც ეს-ესაა სათამაშო აჩუქეს.

— ჩემს ძველ პალტოსაც გადავაგდებ ან გავაჩუქებ.

— რატომ? ის ხომ თითქმის ახალია!

— არ მომწონს, ცუდადაა გამოჭრილი, მოდიდანაც გახულია.

— ახალს იყიდი?

— არა, შევიკერავ საუკეთესო მკერავთან.

— მეც შემიკერავს?

უცხოური იუმორი

წამსვლელ-გამცილებლები

ხალამოს ცხრა საათი იქნებოდა, დუკრის რკინიგზის სადგურს რომ მოადგა ხამი კაცი.

— რომელზე გადის ლონდონისკენ მატარებელი? — ჰკითხეს მებარგეს.

— უკვე დაგაგვიანდათ. ყოველ საათში გადის. შემდეგი ათზე იქნება.

— ჯერ ადრეა, — იფიქრეს. — წავიდეთ, დავლიოთ!

შეიარეს მახლობელ ბუფეტში. თერთმეტი იყო დაწყებული, გულგახეთქილებმა რომ მოირბინეს.

— გაგვასწრო მატარებელმა? — ჰკითხეს მებარგეს.

— დიახ, ხომ გითხარით, ათზე მოვა-თქო. შემდეგი ერთ საათში იქნება.

— არაფერია, მეორეს გავუყვებით. ერთიც დავლიოთ!

ხმას შეეყვნენ და...

— იცოდეთ, ბოლოა, თუ ამასაც გაუშვებთ, ამაღამ შინ ვერ ჩახვალთ! — გააფრთხილა ნაცნობმა მებარგემ.

თორმეტზე მატარებელი ისიის იყო დაიძრა, ხამივენი ქოშინით მოვარდნენ. ორი, როგორც იქნა შეახტა ვაგონს, მესამე დარჩა. იდგა და, ვითომც არაფერიაო, იცინოდა.

— ხომ გაგაფრთხილეთ, ბოლოა-მეთქი, რატომ არ იჩქარე? — ჰკითხა მებარგემ.

კაცი სიცილისაგან იგუდებოდა. შემდეგ ჩაავლო მებარგეს ხელი:

— ხომ დაინახე ის ორი ვაუბატონი, მატარებელში რომ ჩასხდნენ და მე აქ დამტოვეს?

— როგორ არა!

— ლონდონში მე მივდიოდი, ისინი კი მაცილებდნენ.

ტუუილების გუდა

მოლა ნასრედინს ეშმაკი პეტრე შემოეყარა გზაზე.

— ამას ვისა ვხედავ! — ჩაიქირქილა. — შენზე ბევრი ქება გამიგონია. თურმე ოსტატურად ახერხებ ტუუილების ჩმახვას. მოდი, გავეჯიბროთ! ვნახოთ, ვინ აჯობებს.

პეტრემ კეფა მოიფხანა.

— კეთილი, ხოჯა! ოღონდ ცოტა ხანს უნდა დამელოდო. „ტუუილების გუდა" შინ დამრჩენია. ახლავე წავალ და მოვარბენინებ...

თარგმნა
მამიკონ თაქორიანმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რატომაც არა.

— და ახალი პალტოებით ვიმოგზაურებთ?

— რა თქმა უნდა! იტალიაში, საფრანგეთში, რუსეთში. ანდა არა — თვითმფრინავით ლუბლიანამდე. შემდეგ გემით ამერიკაში, მგონია, ასე აჯობებს.

— მე შენ ძალიან, ძალიან მიყვარხარ! — ჩამჩურჩულა მეუღლემ და ბედნიერებისაგან სწრაფად ჩაეძინა.

დილით სამსახურში მიმავალს მეუღლის სიტყვები სეტყვასავით წამომეწია.

— დამიტოვე ცოტა სახარჯო ფული!

— ფული არა მაქვს, — ეუთხარი გულახდილად.

— რაო, არა გაქვს? აკი მთელი ღამე მიშტკიცებდი, ხვალიდან უკეთ ვიცხოვრებთო, ეგ არის შენი პირობა?!

გაბრაზებულმა ქუდს ხელი დავავლე და ქუჩაში გავვარდი.

უბმოდ მივაბიჯებ წვიმაში და ვფიქრობ:

საერთოდ რატომ დავქორწინდი მასზე? ეს რა პროზაა. ჩვენ ორი სხვადასხვა სამყარო ვართ. უფრთო მეშჩანაა — არ სჯერა მომავლისა. უკეთესი მომავლის არ სჯერა. სჯობდა, უფრო ფაქიზი სულის ქალზე დავქორწინებულიყავი, რომელსაც, ისე როგორც მე, ნათელი მომავლის იმედი ექნებოდა...

ახია ჩემზე. თუმცა რა. მე ხომ ერთადერთი ადამიანი არა ვარ, რომელიც შეცდა ცხოვრების მეგობრის შერჩევაში...

თარგმნა
ნუნუ კუპრეიშვილმა.

დასაწყისი კურსი

კარგი ტონის ანბანი დამწყები კოლიციის აგენტებისათვის

მ ა რ გ ი ლ ი

რათა არ იფუჭესიტყვაოთ, ხათაბალაში არ გაეგბათ და არ დაკომპლექსდეთ იმ შემთხვევაში, როცა თქვენ მოულოდნელად აღმოჩნდებით „მაღალი საზოგადოების“ ადამიანთა კომპანიაში (როგორც ცნობილია, ისინი, თითქმის ყველანი, მაფიოზები არიან!), გმართებთ ასე მოიქცეთ და, აი, ესენი იცოდეთ:

1. რილკე და ლორკა პოეტები არიან.

2. კაფკა და ხანდკე — პროზაიკოსები.

3. დოსტოევსკი, ტარკოვსკი და კობო აბე ამბივალენტურნი და პოლიფონიურნი არიან. ამ სიტყვების მნიშვნელობა შეგიძლიათ დიდ სიბეჭოთა ენციკლოპედიაში ნახოთ. იქვე შეგიძლიათ იხილოთ მნიშვნელობები სიტყვებისა: ინფანტილიზმი, კათარზისი, ლეტალური, ლეთარგიული, მაზოხიზმი, მედიტაცია, პარანოია, ხიონიზმი, სუბლიმაცია, ტრანსცენდენტალური.

4. მახვილი სიტყვა „კათარსის“-ში მოდის პირველ მარცვალზე.

5. ანდრეი პლატონოვი ერთ დროს მეეზოვედ მუშაობდა, ევგენი პეტროვი — მილიციონერად.

6. ზარატუსტრა, რომელიც „ასე ამბობდა“, ირანელი წინასწარმეტყველია, — დიდი ხანია მოკვდა და შუსულმანი არასოდეს ყოფილა.

7. ჩინური პოეზია იაპონურ პოეზიაზე ბევრად უფრო ფაქიზი და ღრმაა.

8-9. აღტაცების გამოხატვისას გმართებთ წამოიძახოთ: „სიუ-უ-უ-რ!“ (ეს მომდინარეობს სიტყვა „სიურეალისტურიდან“, რაც „ძალიან კარგს“ ნიშნავს).

10. მწვრილავი თეფში თქვენ ნახეთ შარშან ზაფხულში ღამის 2 საათზე 8 მარტის ქუჩაზე. თქვენთან ერთად ის ნახა ექვსმა ადამიანმა, მათ შორის ბიძათქვენმა დედის მხრიდან.

11. სალვადორ დალი — ის არის „სიუ-უ-უ-რ!“

12. **ზ ი დ ხ ი** — ესაა ყველაზე ტკბილი თვითმკვლელობა.

13. ფროიდი — ესაა ფსიქიატრია, რომელიც გვასწავლიდა, რომ ყველაფრის თავი და თავი სექსია.

14. არტურ შოპენჰაუერი იყო სიცოცხლისმოძულე და ფილოსოფოსი, რომელიც გვასწავლიდა, რომ ყველაფრის თავი და თავი ნებელობაა.

15. ფროიდს ზიგმუნდი ერქვა.

16. დანტე იტალიელია, მან დაწერა „ღვთაებრივი კომედია“. დანტესი ფრანგია, რომელმაც ესროლა პუშკინს.

17. დაიზეპირეთ მანდელშტამის რომელიმე ლექსი და ხელსაყრელ მომენტში გამოთქმით წაიკითხეთ ის მაღლა, 45 გრადუსით თავაწეულმა.

18. თავისუფალ დროს პირველ ღვის კენჭებით გამოიტენეთ და, როგორც ამას ძველებერძენი დემოსთენე აკეთებდა, ივარჯიშეთ დიქციის დაყენებაში, რისთვისაც მრავალჯერ გაიმეორეთ: „ე-გზი-სტენ-ციალი-ზმი“.

19. თქვენ ძალიან გიყვართ ჯაზი, იმიტომ რომ იქ არის სინკოპე (სინკოპე — ბერძ. შეკუმშვა. ძველი მუსიკალური მახვილის გადანაცვლება ტაქტის ძლიერი ნაწილებიდან სუსტზე — მთარგმ.).

20. ბახი — დიდი კომპოზიტორია, მაგრამ, სამწუხაროდ, ის დილეტანტებს უყვართ. ბახი და ორგანი სულაც არ არის ერთი და იგივე.

21. საუბარში ყველაზე მეტად ერიდეთ ისეთ სიტყვებს, როგორიცაა „ფისტონი“, „ვნებპრდები“, „ორევა“, „ნუ შადრევნობ“, „ფინიში“, „გაფრენა“. შით უფრო: „არის, ამბანაგო მაიორო!“ უნდა ილაპარაკო მოხდენილად: „მე ეკუაზე აღარა ვარ...“. „ტურფაკულად“, „საინტერესოა“, „ლირს“, „მე ეს არ მიმპონირებს“, „გეთანხმებით თქვენ“.

22. ფსიქოლოგიურ „როკს“ (სიტყვების თამაშია: რუსული სიტყვა „როკ“ — ბედისწერა და „როკ“ სიტყვათა კომპლექსში „როკ-მუსიკა“ — მთარგმ.) ჩვენ პირველად უკვე ბითლზებთან ვხვდებით.

23. მხატვარი ტულუზ ლოტრეკი იყო ჭონდრისკაცი, ბეთხოვენი — ყრუ. ბაირონი კი — კოკლი.

24. კანდინსკი აბსტრაქციონიზმის მამაა. კანდინსკი — ეს უნდა ნახოთ.

25. კაზიმირ მალევიჩმა სურათი „შავი კვადრატი“ ჯერ კიდევ რევოლუციამდე დახატა. მალევიჩი აბსტრაქციონიზმის ერთ-ერთი მამაა. ეს უნდა ნახოთ.

26. ომარ ხაიამი რუბაიებს წერდა, შექსპირი — სონეტებს. ბასიოხოკუს ტაკუბოკუ — ტანკებს.

27. თქვენ წაიკითხეთ გაზეთში, რომ ლათინურ ამერიკაში თავიანთ ფერმაში აქამდე ცხოვრობენ მიტლერი და ევა ბრაუნი.

28. ჭეშმარიტება ჩვენშია, თქვენშია და მათშია.

29. ანტონიონი ფელინის სჯობია, კუროსავა კი ანტონიონზე უკეთესია. საერთოდ, იაპონელები მხეცები არიან.

30. დოსტოევსკი ტოლსტოის სჯობია და პირიქით.

31. სინათლე აღმოსავლეთიდან მოდის. იკებანა ყვავილების თაიგულია, ხაკე — ბრინჯის არაყია; მაოს კი უყვარდა თქმა: „რომ იცურაოთ, ამისთვის უნდა იცურაოთ“.

32. კარატე იგივე ძენია, ძენი იგივე იოგაა, იოგა იგივე ნირვანაა. ნირვანა ეს არის სიუ-უ-ურ.

33. „სიურეალისტიზმისგან“ განსხვავებით, სიტყვა „მარაზმი“ ერთი „რ“-თი იწერება. სიტყვა „მარაზმი“ უკვე მოდაში არაა, მის ნაცვლად უნდა თქვათ: „ეს მე არ მაწყობს“.

34. ჭკვიანი და ერუდირებული ადამიანების გარეშე ცხოვრება მოსაწყენი იქნებოდა. ყველაფრის თავი და თავი ინტელიგენტები არიან.

ანბანი შეადგინა **ანდრეი პოზლოვმა**, რომელიც ცხოვრობს ქალაქ სვერდლოვსკში.
ეს ურალია.

„კრიკი“ (კრიმინალური ქრონიკა) პირველი გამოშვება. თარგმნა **ჯუმბერ თითმერიამ**

უკრალოდ, უკელაფრის შეეთხვევა

აგათა კრისტი

მოთხრობა

— მე კი გიმეორებთ, რომ ეს ის ქალია. აქ ხაეკვო არაფერია.

კაპიტან ჰეიდოკმა შეხედა თავისი მეგობრის ენერგიულ, აღელვებულ სახეს და ამოიოხრა. მას არ სიამოვნებდა, რომ იგი ასე აშკარად, ღვარძლიანად ლაპარაკობდა. მოხუც კაპიტანს საზღვაო ფლოტში სამსახურმა ასწავლა სხვის საქმეებში არ ჩარეულიყო. მაგრამ მისი მეგობარი, სკოტლენდ-იარდის უოფილი ინსპექტორი — ევანსი სულ სხვა აზრისა იყო. „იმოქმედე მხოლოდ და მხოლოდ მიღებული ინფორმაციის მიხედვით“ — აი, მისი დევიზი და მან ეს დევიზი ცხოვრების პრინციპად აქცია. ბუნებით მონიჭებული გამჭრიახობა და შორსმჭვრეტელობა ეხმარებოდნენ მას მუშაობის დროს და ახლაც, როცა პენსიაში გავიდა და ერთ მყუდრო სოფელში დასახლდა, პროფესიული ალღო ერთი წუთითაც არ ღალატობდა.

— ამ ქალის სახის დავიწყება შეუძლებელია, — თვითკმაყოფილებით იმეორებდა ის. — დიახ-დიახ, რა თქმა უნდა, მისის ენტონი! როცა თქვენ მითხარით, რომ ის მისის მეროუდინია, მე იმწამსვე მასში მისის ენტონი შევიცანი.

კაპიტან ჰეიდოკმა შუბლი შეიკმუხნა. მეროუდინები მისი უახლოესი მეზობლები იყვნენ და მისის მეროუდინის იმ ცნობილი, არახალიამოვნო საქმის გმირ ქალთან გაიგივება მოხუცი კაპიტნისთვის მეტად უსიამოვნო იყო.

— ეს ხომ დიდი ხნის წინ მოხდა, — უხალისოდ თქვა კაპიტანმა.

— ცხრა წლის წინ, უფრო ზუსტად, ცხრა წლისა და 8 თვის წინ, — მშვიდად თქვა ევანსმა. თქვენ გახსოვთ ეს საქმე?

— საკმაოდ ბუნდოვნად.

— მაშინ აღმოჩნდა, რომ მისტერ ენტონი მუდმივად ღებულობდა დარიშხანს, ამიტომაც მისის ენტონი გაამართლეს.

— ეს როგორ?

— უბრალოდ, ფაქტები არ დადასტურდა. მოწმეთა ჩვენებები მის სასარგებლოდ ლაპარაკობდნენ. ყველაფერი ერთმანეთს დაემთხვა.

— ყველაფერი წესრიგშია, — თქვა ჰეიდოკმა. — რა გვაქვს ახალელვებელი?

— მერედა, ვინ ღელავს?

— მომეჩვენა, თითქოს თქვენ...

— სრულებითაც არა.

— ეს საქმე წარსულში მოხდა და თავი დავანებოთ მას. თუ მისის მეროუდინს შეემთხვა უბედურება და იგი მკვლელობაში დაადანაშაულეს, ხოლო შემდეგ კი გაამართლეს...

— ვფიქრობ, გამართლება უბედურება არ უნდა იყოს... სათქმელი შუაზე გააწყვეტინა ევანსმა კაპიტანს.

— თქვენ მშვენივრად გაიგეთ, რისი თქმაც მინდოდა, — აღელვებით გააგრძელა ჰეიდოკმა. — თუ ამ საწყალ ქალს ოდესღაც უბედურება შეემთხვა, ჩვენი საქმე არ არის ძველის ამოქექვა. ასე არაა?

ევანსი დადუმდა.

— მომისმინეთ, ევანს. თქვენ ახლახან არ თქვით, რომ ქალი უდანაშაულოა.

— მე არ მითქვამს, რომ ის უდანაშაულოა. მე ვთქვი, მაშინ იგი გაამართლეს-მეთქი.

— ეს ხომ ერთიდაიგივეა.

— ყოველთვის არა.

დაბნეულმა კაპიტანმა, რომელიც ამ საქმით ძლიერ შეწუხებული იყო, მეგობარს შეხედა.

— ა-აა, აი, თურმე ქარი საიდან უბერავს. თქვენ თვლით, რომ ქალი დამნაშავე იყო?

— მე ეს არ მითქვამს. მე მხოლოდ ვთქვი, არ ვიცი იყო თუ არა იგი დამნაშავე-მეთქი. მისტერ ენტონის, მის ქმარს, ჰქონდა ჩვეულება, მიეღო დარიშხანი, რომელსაც მას ცოლი უმზადებდა ხოლმე. ერთხელ მან შეცდომით ზედმეტად დიდი დოზა მიიღო. ვისი შეცდომა იყო ეს, ქმრის თუ ცოლის? მაშინ ვერავინ დაადგინა. და მოსამართლემაც ქალი გაამართლა. ყველაფერი ერთი შეხედვით წესრიგში ჩანდა. მაგრამ მე მაინც სიმართლე მინდა გავიგო.

კაპიტან ჰეიდოკმა ჩიბუხს მოუკიდა.

— ეს არ არის ჩვენი საქმე, — შემრიგებლურად თქვა მან.

— მოითმინეთ, ერთი წუთით. ალბათ გახსოვთ, მისტერ მეროუდინი გუშინ საღამოს თავის ლაბორატორიაში ცდებს ატარებდა.

— რასაკვირველია. მან კიდევაც ახსენა დარიშხანი, რომლის საშუალებითაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცდა ჩაატარა. მითხარით, რა იცით ამ ცდის შესახებ. ეს ხომ თქვენს პროფესიას ეხება? — ჰკითხა კაპიტანმა და თან ჩაიცინა. — მაგრამ საეკვოა მისტერ მეროუდინმა რამე თქვას ამ საქმის შესახებ, თუნდაც ახსოვდეს...

— თქვენ გინდათ თქვათ, რომ თუნდაც იცოდეს? — ევანსმა ისევ გააწყვეტინა სათქმელი. — დიდი ხანია ისინი ცოლ-ქმარი არიან? მგონი თქვენ მითხარით, რომ ექვსი წელია. ხანაძლეოს ვდებ, რაზეც გსურთ, რომ მისი ცოლი ცნობილი მისის ენტონია.

— და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მისტერ მეროუდინი ამას ჩემგან ვერ გაიგებს, — გადაჭრით თქვა კაპიტანმა.

ევანსს კაპიტნის ნათქვამისთვის ყურადღება არ მიუქცევია, ისე გააგრძელა:

— ნუ მაწყვეტინებთ. ამ მნიშვნელოვანი ცდის შემდეგ მეროუდინმა საცდელი მასალა ააორთქლა კოლბაში, ლითონის ნალექი წყალში გახსნა, შემდეგ ვერცხლის ნიტრატი დაუმატა, რათა რეაქცია დაეჩქარებინა. ეს იყო ქლორატების ცდა. მაგრამ მე წიგნიდან მახსოვს, რომ თუ ამ ნივთიერებას H_2O_4-ს დავუმატებთ, ნივთიერება დაიშლება ქლორატებად და გამოიყოფა ქლორი. მაგრამ თუ ამ ნივთიერებას გავაცხელებთ, მოსალოდნელია ძლიერი აფეთქება. ამიტომ ეს ნივთიერება მხოლოდ და მხოლოდ ცივ ადგილას უნდა მოვათავსოთ და ამასთან ძლიერ მცირე რაოდენობით უნდა გამოვიყენოთ.

ჰეიდოკმა გაკვირვებით შეხედა მეგობარს.

— და მერე, რა გინდათ მაგით თქვათ?

— ის რომ, ჩემს პროფესიაშიც არის მსგავსი ცდები — ცდები მკვლელობებთან. მკვლელი იშვიათად კმაყოფილდება ერთი დანაშაულით. მიეცით მას დრო, მოახერხებინეთ ეჭვი და იგი უკვე სხვა დანაშაულს სჩადის. ვთქვათ, თქვენ დაადანაშაულეთ კაცი ცოლის მკვლელობაში. თუნდაც მის წინააღმდეგ არ იყოს საკმარისი სამხილი. მაგრამ თუ ჩაიხედავთ ამ კაცის წარსულში, იცით, რომ მას რამდენიმე ცოლი ჰყავდა და ყველა ისინი იდუმალ გარემოცვაში გარდაიცვალნენ. ეს უკვე თქვენი ეჭვების დადასტურებაა. დადასტურება არა იურიდიული, არამედ მორალური თვალსაზრისით. თქვენ მაინც თქვენდაუნებურად ცდილობთ ჭეშმარიტების დადგენას და ამიტომაც ეძებთ დამამტკიცებელ საბუთებს...

— და შემდეგ?

— აი უკვე მთავარ სათქმელს მივუახლოვდით. კარგია, რომ არსებობს წარსული, რომელშიაც შეგვიძლია ჩავიხედოთ. მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ მკვლელი (სულ-

ერთია კაცი იქნება ის თუ ქალი) თავისი პირველი დანაშაულის დროს დავიბირეთ. მაშინ ჩვენი ცდა ჩვენთვის საგბირო რეაქციით არ დამთავრდება. მაგრამ ვთქვათ, დანაშაულში ეჭვმიტანილი გამართლდა და სხვა გვარით იწყებს ახალ ცხოვრებას? ჩაიდენს თუ არა იგი ახალ დანაშაულს?

— ო, ამის წარმოდგენაც კი საშინელებაა.

— თქვენ კი ამბობთ, რომ ეს ჩვენი საქმე არ არისო.

— რა თქმა უნდა ასეა. თქვენ ხომ არ გაქვთ იმის საფუძველი იფიქროთ, რომ მისის მეროუდინი დამნაშავეა?

ყოფილი ინსპექტორი წუთით გაჩუმდა და შემდეგ თქვა:

— ჩვენ გავაანალიზეთ ამ ქალის წარსული და ვერაფერი ვერ აღმოვაჩინეთ. თუმცა ეს ასე არ არის. მას ყავდა მამინაცვალი. როცა ქალი თვრამეტი წლის ასაკში ერთი ახალგაზრდა მამაკაცით გაერთო, მამინაცვალმა ყოველი ღონე იხმარა, ისინი ერთმანეთისათვის დაეცილებინა. ერთხელაც მან მამინაცვალთან ერთად ციცაბო მთაზე გაისეირნა. და ამ დროს მოხდა უბედური შემთხვევა — მამინაცვალი ძალიან ახლოს აღმოჩნდა მთის კიდეზე, მან უცებ უკან დაიხია და მთიდან გადმოვარდა.

— და თქვენ ფიქრობთ, რომ...

— ო, არა. ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ უბედური შემთხვევა. მისტერ ენტონის მიერ დარიშხანის საკმაოდ დიდი დოზის მიღებაც შემთხვევითობა გახლდათ. ცოლზე ეჭვს ალბათ არასოდეს მიიტანდნენ, რომ არა ის ახალგაზრდა კაცი, რომელიც ამ ქალს უყვარდა. თუმცა შემდეგ ისინი დაშორდნენ. იცით ჰეიდოკ, ვფიქრობ, მოსალოდნელია მომხდეს კიდევ ერთი უბედური შემთხვევა.

ჰეიდოკმა მხრები აიჩეჩა.

— არ ვიცი, როგორ აპირებთ ამ შემთხვევის თავიდან აცილებას!

— არც მე ვიცი, — დაღლილი ხმით თქვა ევანსმა.

— თქვენს ადგილას მე თავს დავანებებდი ამ საქმეს, — თქვა კაპიტანმა ჰეიდოკმა. — ვფიქრობ არ ღირს

სხვის საქმეებში ცხვირის ჩაყოფა.

მაგრამ მოხუცი კაპიტნის ეს რჩევა ჭკუაში არ დაუჯდა ევანსს. მან გადაჭრით გადაწყვიტა სიმართლის გაგება.

მეგობართან გამომშვიდობების შემდეგ, ევანსი სოფელში სეირნობდა, თან ეს საქმე უტრიალებდა თავში. მარკების საყიდლად ფოსტაში შესვლა გადაწყვიტა. ის იყო ფოსტაში უნდა შესულიყო, რომ უცებ ჯორჯ მეროუდინს შეეჯახა.

ქიმიის ყოფილი პროფესორი — მისტერ მეროუდინი საშუალო ტანისა იყო, მეოცნებე, რბილი და თავაზიანი ადამიანებთან ურთიერთობაში. ამასთან, საოცრად დაბნეული კაციც გახლდათ. მან იცნო ევანსი და მეგობრულად მიესალმა. შეჯახებისას პროფესორს მთელი დასტა წერილები დაუცვივდა ხელიდან და იგი დაიხარა მათ ასაღებად. ევანსიც დაიხარა, მოხერხებულად აკრიფა ისინი და პატრონს დაუბრუნა. თან ერთი წამით თვალი შეავლო კონვერტებს. ზედა კონვერტზე წაწერილმა მისამართმა მიიპყრო მისი ყურადღება, თანაც ეჭვი აღუძრა. ეს იყო კარგად ცნობილი სადაზღვევო კომპანიის სახელწოდება.

ევანსს არ დასჭირვებია დიდი შრომა იმის გასაგებად, თუ რაში სჭირდებოდა მეროუდინს სადაზღვევო კომპანია. პროფესორმა საუბრისას აცნობა ევანსს, რომ მან თავისი სიცოცხლე დაზღვია ცოლის სასარგებლოდ და ამის შესახებ ყოფილ ინსპექტორს რჩევა ჰკითხა.

— მე რამდენიმე კაპიტალდაბანდება შეეკმენი, რის შედეგადაც ჩემი შემოსავალი რამდენადმე შემცირდა, — თქვა პროფესორმა. — თუ მე რამე შემემთხვევა, ჩემი ცოლი შეიძლება ყოველგვარი სახსრის გარეშე დარჩეს. ჩემი დაზღვევა კი საკმეს სასიკეთოდ გამოასწორებს.

— მერე თქვენი ცოლი ამა-

ზე თანახმაა? — დაინტერესდა ევანსი. — მე ვიცნობ ქალებს, რომლებიც დაზღვევის წინააღმდეგნი არიან. მათი აზრით, იგი უბედურების მომტანია.

— ო-ო, მარგარეტი ისეთი პრაქტიკულია. ის არ ჰყვება ცრურწმენებს, თანაც ეს ხომ მისი იდეაა, — ღიმილით თქვა მისტერ მეროუდინმა.

ევანსმა მიიღო საჭირო ინფორმაცია. მალე გამოემშვიდობა პროფესორს. იგი საოცრად აღელვებული იყო — გარდაცვლილმა მისტერ ენტონიმაც ხომ ცოლის სახსარგებლოდ დაიზღვია თავი სიკვდილამდე რამდენიმე კვირით ადრე.

ევანსი, სავსებით დარწმუნებული თავის მიერ გამოტანილ დასკვნებში, უველაფერში თავის პროფესიულ ალღოს ენდობოდა. მას სურდა დანაშაულის თავიდან აცილება და მკვლელის შეპყრობა უკვე ჩადენილი ბოროტების შემდეგ.

მთელი დღის განმავლობაში ჩაფიქრებული იყო. საღამოს სოფლის ადგილობრივ მოედანზე დღესასწაული გაიმართა. ევანსიც იქით გაემართა, უნდოდა, ცოტა გული გადაეყოლებინა. აქ მკითხავ ზარას გადაეყარა და მკითხაობაში ნახევარკრონიანი დახარჯა. თან თავის თავს დასცინოდა, როცა იხსენებდა, როგორი უნდობი იყო წინასწარმეტყველების მიმართ სამსახურში ყოფნის პერიოდში.

თავიდან არც უსმენდა მკითხავის მონოტონურ ხმას. ბოლოს გააკვირვა მკითხავის ნაღვლიანმა წინასწარმეტყველებამ:

— შენ ვიღაც მამაკაცის ბედით ძლიერ ხარ დაინტერესებული, მის სიცოცხლე თუ სიკვდილი ძალიან გაღელვებს. რაღაც გადაწყვეტილება მიიღე, მაგრამ ფრთხილად უნდა იყო, ძალიან ფრთხილად. თუ შეცდომას დაუშვებ, უმცირეს შეცდომასაც კი...

მკითხავი ქალი აკანკალდა. თუმცა ევანსი მკითხავის ნათქვამს სიხულელედ თვლიდა, მისი მღელვარება მასაც გადაედო.

— გაფრთხილებ, არ დაუშვა შეცდომა. თუ შეცდები გარკვევით ვხედავ, რომ სიკვდილი გელის.

— ეშმაკმა დალახვროს! სიკვდილი?! და თუ შეცდომა დავუშვი, სიკვდილი მელის?

— დიახ, ბატონო!

— რადგან ასეა, არ უნდა შევცდე, — თქვა ევანსმა და მკითხავს ნახევარკრონიანი გაუწოდა. — თუმცა ეს სათქმელადაა იოლი: ის არ უნდა შეცდეს. ამაზეა დამოკიდებული მისი სიცოცხლე.

მისი დახმარება არავის შეეძლო. შორ მანძილზე თავისი მეგობრის — კაპიტან ჰეიდოკის სილუეტი დალანდა — ვიღაც ქალს ელაპარაკებოდა. „არ ჩაერიო" — გახლდათ ჰეიდოკის ცხოვრების პრინციპი. მაგრამ ეს პრინციპი ახლა არ გამოადგება ინსპექტორს. ქალი დაემშვიდობა მოხუც კაპიტანს და ევანსისკენ წამოვიდა. ინსპექტორმა მასში მისის მეროუდინი შეიცნო.

მისის მეროუდინი ფრიად საინტერესო გარეგნობის ქალი გახლდათ. ფართო შუბლით, დიდი თაფლისფერი თვალებით, შუაზე გაყოფილი თმებითა და სახის მშვიდი გამომეტყველებით იტალიელ მადონას ჰგავდა.

ქალმა მომხიბვლელად გაუღიმა ინსპექტორს.

— ახლაც ვფიქრობდი, რომ ეს თქვენ ხართ, მისის ენტონი. უკაცრავად მისის მეროუდინი. — ევანსმა განზრახ წარმოთქვა მისი ძველი სახელი, ქალის რეაქცია აინტერესებდა. შეამჩნია, როგორ გაუფართოვდა ქალს გუგები, სუნთქვა როგორ გაუხშირდა. მაგრამ თავი შეიკავა და ევანსს წყნარად ჰკითხა:

— ქმარს ვეძებ, შემთხვევით ხომ არ დაგინახიათ?

— ამ ცოტა ხნის წინ ვნახე, იქით შეუხვია.

და ისინი ერთად გაემართნენ პროფესორის საძებნელად. ინსპექტორი გრძნობდა ქალის სულიერ სიმაღლეს. აღტაცებული იყო მისი ზომიერების გრძნობით, თავშეკავებით, თავის ფლობის ბრწყინვალე უნარით. — შესანიშნავი ქალია, მაგრამ ამასთან საშიში, ძალიან საშიში, — ფიქრობდა გულში.

და ევანსი მაინც აფორიაქებული იყო, თუმცა საქმის სასარგებლოდ პირველი ნაბიჯი წარმატებით გადადგა და აშკარად აგრძნობინა ქალს, რომ იცნო იგი. ეს აიძულებს ქალს ფხიზლად იყოს და წინდაუბედავად არ მოიქცეს. ახლა ინსპექტორს მისტერ მეროუდინის ბედი ადარდებდა და უნდოდა მისი გაფრთხილება...

ისინი მისტერ მეროუდინს მოედანთან შეხვდნენ. პროფესორს ხელში ეჭირა ქაშანურის თოჯინა, რომელიც ატრაქციონში მოეგო. ცოლმა სახლში წამოსვლა სთხოვა. ქმარი ხალისით დაეთანხმა. შემდეგ ქალი ინსპექტორს მოუბრუნდა და უთხრა:

— ჩვენთან ხომ არ წამოხვიდოდით, მისტერ ევანს, ჩაიზე დაგპატიუებთ.

— დიდი სიამოვნებით, მისის მეროუდინ, დიდად გმადლობთ!

და ისინი სოფლისაკენ გაემართნენ, თან ხალისიანად საუბრობდნენ. მზე თავისი ალერსიანი სხივებით ათბობდა დედამიწას, ქროდა მსუბუქი ნიავი და ირგვლივ უველაფერი სასიამოვნო იყო.

— მოახლე დღესასწაულზე წავიდა, — თქვა მისის მეროუდინმა, როცა სახლში შევიდნენ. ქალმა მაგიდას სუფრა გადააფარა. ჩაიდანი ქურაზე შემოდგა და თაროდან სამი ფიალა და ლამბაქები გადმოიღო.

— ჩვენ განსაკუთრებული ჩინური ჩაი გვაქვს და სმითაც ჩინური წესის მიხედვით ფიალებიდან ვსვამთ, — აუხსნა ინსპექტორს მისის მეროუდინმა.

უცებ ქალი გაჩუმდა, შეშფოთებულმა ერთ-ერთ ფიალას დახედა და ათრთოლებული ხმით ქმარს გასძახა:

— ო, ჯორჯ! ისევ ეს ფიალები იხმარე?

— მაპატიე, ძვირფასო! — ლაბორატორიიდან გამოეხმაურა პროფესორი. — ისინი ცდისათვის ზედგამოჭრილია, ხოლო ჩემი შეკვეთილი კოლბები ჯერ არ მოუტანიათ.

— ერთხელაც იქნება უველას მოგვწამლავ, — ხიცილით თქვა მისის მეროუდინმა. — მერი ძლივს პოულობს მათ ლაბორატორიაში, მოაქვს და არც რეცხავს, თუ მათში რაიმეს არ იპოვის. ამას წინათ შენ ერთ-ერთ მათგანში კალიუმციანიდი მოათავსე. ეს ხომ ძალიან საშიშია, ჯორჯ.

პროფესორი ძლიერ გაბრაზდა:

— როგორ ბედავს მერი ლაბორატორიიდან ჩემი ნივთების გამოტანას. რა მისი საქმეა მათი შეხება.

— ჩვენ ხომ ხშირად ვტოვებთ ჭიქებს ჩაის სმის შემდეგ. როგორ შეუძლია მას გაარჩიოს ისინი ფიალებისაგან, ცოტა დაფიქრდი, ძვირფასო!

პროფესორმა თავისთვის კიდევ რაღაც ჩაიბურტყუნა და ლაბორატორიაში შებრუნდა.

ევანსი საგონებელში ჩავარდა. მისთვის რაღაცეები ცნობილი შეიქნა. რაღაც მიზეზების გამო მისის მეროუდინმა თავის ბნელ განზრახვებს ნათელი მოჰფინა. ეს შემთხვევითობა იყო თუ ამით ქალი ალიბს იქმნიდა, რომ თუ მორიგი უბედური შემთხვევა მოხდება, იგი იძულებული იქნება ჩვენება ქალის სასარგებლოდ მისცეს. და თუ ეს ასეა, მაშინ ეს ქალის მხრიდან მხოლოდ და მხოლოდ უგნურებაა, რადგანაც ჯერ...

უცებ ევანსს სუნთქვა შეეკრა. ქალმა ფიალებში ჩაი ჩამოასხა. ერთი ევანსს დაუდო, მეორე თვითონ დაიდგა, ბოლო მესამე ფიალა კი ქმარს დაუდო პატარა მაგიდაზე, სადაც ჩვეულებრივად მისტერ მეროუდინი ჯდებოდა ხოლმე. სწორედ ამ დროს სახეზე უცნაურმა ღიმილმა გადაურბინა. ამ ღიმილმა გასცა იგი.

ახლა უკვე უველაფერი გასაგებია!

შესანიშნავი ქალია და ამასთან ძლიერ საშიში!

ახალი ლექსები

ლია ასათიანი

შენი სიზმრების ქვეყანაში

არჩილს — ჩემს შვილიშვილს

შენ სასთუმალთან მინდა მოვიკალათო,
ჩავისუნთქო შენი თმის სურნელება,
მოვისმინო დილის ნიავივით ნაზი,
შენი ზომიერი სუნთქვა.
დავინახო, როგორ შეირხევა ბაგე შენი
და როგორ შეკრთებიან შენი თითები
უცნაური სიზმრის გამო,
ოცნებაში წასული,
მეც წარმოვიდგენ ჩემ თავს,
ცხადში მიუწვდომელს,
შენი სიზმრების გამოუცნობ
ქვეყანაში...
სიზმრებში რა არ ხდება.

ბელურების სათქმელი

სადაც გავჩნდებით, მუდამ იქ
ვცხოვრობთ,
იქაურ სევდას ვართ შეჩვეული
და სხვა ქვეყანა არ გვხიბლავს,
მხოლოდ
კეთილდღეობით გამორჩეული.

ხან ვიბუზებით ზამთრის ყინვაში,
დავეძებთ საკენკს, დაფარულს
თოვლით
და გვაბალიებს სიცოცხლე მაშინ,,
საგაზაფხულო წუთი რომ მოდის.

გამთბარი მიწა რომ გამოჩეკავს
ჩვენ წინ პირველი ყვავილის
კვირტებს,
გუნდი და გუნდი დავსხდებით ერთად
და გაზაფხულის სიმღერას ვიწყებთ.

გამოღვიძებულ ბუნებას, ნათელს,
ვიცით მერცხლების მოფრენაც
მოსდევს;
ამიტომ არქმევთ მათ მაცნეს სახელს
და უძღვნით მრავალ ლექსებს და
ოდებს?

ნუთუ გგონიათ, ოთხივე სეზონს
შეცვლის დროებით შინ დაბრუნება?
მერცხლებს, როგორაც ყოფილა
ეგზომ,
თბილი ქვეყნების ხიბლავთ ბუნება.

ჩვენ კი ვიქნებით მუდამ თქვენს
გვერდით
და არც მოგაკლებთ ჭიკჭიკა ენას.
რადგან სამშობლო არსებობს ერთი,
რაიც გვიბოძა მაღალმა ზენამ.

გზა ქარტეხილში

ძვირფასო! აი უშენოდ დავრჩი...
გვერდით ოთახში რომ არ მეგულვი,
შენგან აკრძალულ ხილს — წერას
ვარჩევ
და ემატება კრებულს კრებული.

ახლა, როდესაც თავისუფლებას
დაეძებს ყველა: დიდი და ბავშვი,
მე, უკვე მაშინ ვწონიდი მცნებათ
და ამოდგომას ვითხოვდი მხარში.

დიდი ხანია დროს, მოქმედებას,
მევე ვბატონობ პატარა სახლში;
ზოგჯერ ტკივილად, ზოგჯერ ედემად,
გადავლილ წარსულს ფურცლებზე
გავშლი.

და ახლა იქნებ გამიგო კიდეც,
მოქსოვილ ძაფებს რად ვარღვევ, რად
ვშლი;
რადგანაც, რაცმეტ ხირთულეს ვიტევ,
ლექსთან მით უფრო ვამყარებ
კავშირს.

მერე რაა რომ, ხან ვგევარ აჩრდილს,
ხან დამეცემა განცდა მეხივით,
სხვის გულს ვატარებ ჩემშივე,
დაჭრილს,
რადგანაც მიჯობს გზა ქარტეხილით.

* * *

გონიერებით, აზროვნებით,
მჭერმეტყველობით: ბაგრატოვანნო,
და მრავალნო, ქართული გენით!
ხშირად სხვა ქვეყნის ისტორიის
შეცვლას და ყოფნას
თქვენ განაგებდით
ძველთაგანვე, კუთვნილი ბედით.
მაგრამ, იმათგან,
გარჯას თქვენსას, დაგროვილს
ვალად,
იოტისოდენს თუ დაიბრუნებს
სამშობლო თქვენი?

მას იმედი აქვს, რომ ევანსი არაფერს ეჭვობს და მას ვერაფერს დაუმტკიცებს.

ევანსმა მაერი ღრმად შეისუნთქა და ქალს მიმართა:

— მისის მეროუდინ, მე ერთი ახირებული კაცი ვარ და პატივი დამდეთ, ამ ჩემს ახირებას დამორჩილდით.

ქალმა გაკვირვებით შეხედა მამაკაცს, თითქოს ვერაფერს მიხვდა.

ევანსი წამოდგა, აიღო ქალის ფიალა და პროფესორის მაგიდაზე დადო, ხოლო ამ უკანასკნელის ფიალა კი ქალს წინ დაუდო და უთხრა:

— საინტერესოა, ამ ფიალას როგორ დალევთ!

მათი თვალები წამით ერთმანეთს შეხვდნენ. ქალის თვალები ჩვეულებრივად შშვიდი და იდუმალებით მოცული იყო. მან აიღო ფიალა და ტუჩთან მიიტანა. ევანსს ისევ შეეკრა სუნთქვა.

— იქნებ შეცდა?

უკანასკნელ წამს, ქალი სწრაფად წამოდგა და ჩაი ყვავილის ქოთანში ჩააქცია. შემდეგ ისევ თავის ადგილას დაჯდა და კაცს გამომწვევად შეხედა.

ევანსმა შვებით ამოისუნთქა.

— რა გინდათ ამით რომ დაამტკიცოთ? — ბკითხა ქალმა შეცვლილი ხმით.

— თქვენ ძალიან ჭკვიანი ქალი ხართ, მისის მეროუდინ, ვფიქრობ, ყველაფერს გამიგებთ. მსგავსი რამ არ უნდა გამეორდეს. თქვენ, ალბათ, გესმით რაზეა საუბარი?

— დიახ, ვიცი, რაც გაქვთ მხედველობაში, — ქალს ხმა თანდათან გაუუფერულდა. ევანსი კმაყოფილებით თავს უქნევდა. იგი მართლაც ჭკვიანი ქალი იყო და ჩამოხრჩობით სიკვდილი არ აწყობდა.

— გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს თქვენ და ასევე თქვენს მეუღლესაც, — უკანასკნელი სიტყვები განსაკუთრებით ხაზგასმით წარმოთქვა ევანსმა და ჩაი მოსვა. უცებ სახე მოეღრიცა, თვალები გადმოეკარკლა, შეეცადა, წამომდგარიყო და დაეყვირა, მაგრამ ვერ შეძლო. სხეული დიდ მორს დაემგვანა. სკამიდან ჩამოვარდა, ხელები და ფეხები საცოდავად მოეკრუნჩხა.

მისის მეროუდინი წამოდგა და თვალს არ აშორებდა მომაკვდავს. სახეზე ისევ გადაურბინა დამცინავმა ღიმილმა. ტუჩები ყურთან მიუტანა და ნაზად წასჩურჩულა:

— თქვენ შეცდით, მისტერ ევანს. თქვენ გეგონათ, რომ ჯორჯის მოკვლა მინდოდა, რა სიბრიყვეა, რა სიბრიყვე!

ქალი დასცქეროდა მიცვალებულს — კაცს, რომელსაც სურდა გზა გადაეღობა მისთვის და ქმრისგან დაეშორებინა.

ფართოდ გაიღიმა. ახლა იგი მართლაც ძალიან მგავდა მადონას. შემდეგ შეწუხებული ხმით ქმარს გასძახა:

— ჯორჯ, ო, ჯორჯ, ჩქარა მოდი, ვშიშობ ჩემი ნათქვამი გამართლდა, მოხდა უბედური შემთხვევა. საწყალი მისტერ ევანსი...“

თარგმნა
ნინო ლორთქიფანიძემ.

Ь 52/10

ეროვნული ბიბლიოთეკა



თარაზულად: 5. თეთრი ფხვნილიხებრი ნივთიერება, ორნახშირმჟავა, ნატრიუმი, იყენებენ მედიცინასა და კულინარიაში; 6. მრავალწლოვანი ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარე. იყენებენ მედიცინაში; 7. საქართველოს რაიონული ცენტრი; 8. ცხიმოვანი სიმსივნე; 9. აფხაზეთის მდინარე; 10. სარეცხი ფხვნილი; 11. მეფისა და ეტლის ერთდროული სვლა ჭადრაკში; 12. პატარა პარკი ფულისა და სხვადასხვა წვრილმანისათვის; 14. ლათინური ანბანის ბოლოდან მესამე ასო; 16. მდინარე ჩრდილო დასავლეთ რუსეთში; 17. ფიცრული სახლის კედელში ვერტიკალურად დაყენებული სქელი ფიცარი, ბოყვი; 21. პურეულისაგან დამზადებული სასმელი; 22. ჭილდო, რომელიც ნონა გაფრინდაშვილმა და მაია ჩიბურდანიძემ მოიპოვეს სხვადასხვა დროს, როგორც წლის საუკეთესო მოჭადრაკეებმა; 23. ქართველი მომღერალი ქალი; 24. ათენის მითიური მეფე; 27. შავიზღვისპირა ქალაქი; 28. სოფელი გორის რაიონში, ნიკო ლომოურის სამშობლო; 29. რაიმე ცალკეული მოქმედება.

შვეულად: 1. სამყარო, როგორც მთლიანობა; 2. არომატული და კოსმეტიკური საქონელი; 3. ქართველი პოეტი ქალი; 4. კვლებად დაყოფილი მიწის ნაკვეთი, სადაც მოპყავთ საკმელ-საკაზში მცენარეები; 13. ბავშვის დასაძინებელი სიმღერა; 15. ბერძენი ფილოსოფოსი; 16. მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნის გამოჩენილი ინგლისელი ფიზიკოსი და მათემატიკოსი; 18. ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული თავდასხმა სხვა ქვეყანაზე, მისი დაპყრობის მიზნით; 19. ზემდგომი ორგანოს სახელმძღვანელო მითითება, რომლის შესრულება აუცილებელია; 20. ქართველი მოჭადრაკე ქალი; 25. ტერიტორია ინდოეთის დასავლეთ სანაპიროზე. ამ ტერიტორიის სახელი, რომელიც ადგილობრივ ენაზე ნიშნავს ნაყოფიერ ქვეყანას; 26. ძროხის ნაშიერი.

შეადგინა ალექსანდრე გორგიშელმა.

მე-8 ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 8. ფუნდუკი; 9. პეტიცია; 10. ნეონი; 11. გურიელი; 12. ამერიკა; 15. ავში; 17. გუდაური; 18. ქატო; 19. ნაურუ; 20. ბუერი; 23. ვატი; 24. კრატერი; 26. არსი; 29. ეკოსები; 31. რეპრიზი; 32. ზვარე; 33. ანტიკვა; 34. ლანცეტი.

შვეულად: 1. წუწუნავა; 2. პუდელი; 3. ხინი; 4. ბიონიკა; 5. ამია; 6. ხტრესი; 7. ვისკონტი; 13. ბუდუარი; 14. გრაბარი; 16. იუანი; 18. ქორდა; 21. ვატიკანი; 22. ესპოზიტო; 25. ტრაშალი; 27. ფრესკა; 28. კუბონი; 30. იზარ; 31. რელე.

გარეკანის პირველ გვერდზე: წმინდა გიორგი.

ოცდასამი ნოემბერი დიდმონამის წმინდა გიორგის ხსენების დღეა.

გადაეცა წარმოებას 4.10.91. ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.12.91. ქაღალდის ზომა 60×90 1/8. გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 4, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 5,6. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,59. ტირაჟი 27 000. შეკვეთა 1962. ფასი 70 კაპ.

Ежемесячный независимый общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Костава, 14. Типография газетно-журнального издательства «Саматбло». Адрес редакции: 380008 Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-88, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებათა გამგეების — 98-28-42, რედაქციის სამდივნოსი — 99-91-39.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.





პლაკატი

ანდრო

ღვამიჩავასი

ინდექსი 76056